# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.

№ 102 (5703)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ფურცლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს შემოსვლა საქართველოში



„უფალო, მოხედენ წყალობით ამათ ზედა ნათესავთა, რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმრთისა თაყვანის-სცენ იესოს მიერ ძისა შენისა".


თვალსაზრისი 5


## გვიშველის კი სურნელი ვარდის?


გლობუსი 6-7


## არასასიყვარულო სამკუთხედი


დისკუსია 9


## ნუთუ ჩვენში მოაზროვნე ხალხი გაწყდა?!


კანონმდებლები 3


## ოპოზიცია ქონების საკუთრების სრულ ამნისტირებას მოითხოვს

● ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ღუდუშაურის კლინიკაში პერინატალური დიაგნოსტიკის ცენტრისა და თანდაყოლილი სიმახინჯეების ადრეული გამოვლენის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრება




◉ დაჯილდოება

# მათი ქმედება გმირობის ტოლფასია

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში ხალხს მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარების საშუალებას მისცემს.

ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სამშენებლო პროცესებში ჩართული 6 მშენებლის დაჯილდოებისას.

პრეზიდენტმა სამშენებლო სამუშაოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღირსების ორდენები გადასცა მიხეილ ჩხიტუნიძეს, პეტრე თედეევს, რაზმიკ მარტიროსიანს, გივი ნიშნიანიძეს, ავთანდილ ლომიძესა და დავით კილაძეს.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე მიიყვანს სამშენებლო პროცესს.

ინტერპრესნიუსი

◉ სიფრთხილე გვმართებს!

# როგორ ვიცავთ ბავშვთა უფლებებს?

**მოზარდების მიერ თანატოლთა გამეტება, როგორც ეს ბოლო თვეებში ჩვენთან ხდება, მართლაც რომ საგანგაშოა. ბავშვები ერთმანეთს უმნიშვნელო რამესაც კი არ პატიობენ და დაუფიქრებლად შეუძლიათ მეგობრის სიცოცხლის ხელყოფა. მაისში შვიდი მოსწავლე მოკლეს! სწორედ რომ აღმაშფოთებელი ფაქტია.**

„სახელმწიფო გონიერი დაწესებულებაა, რომელიც პიროვნებებს იცავს ერთმანეთისგან". – ჯერ კიდევ როდის ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე. სახელმწიფო იმის ვალდებულიც არის, რომ დაიცვას ბავშვთა უფლებები. დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ბავშვების და მათი ოჯახების დაცვას, ქვეყნის კონსტიტუციაა. ის ყველა მოქალაქის, მათ შორის, იმ ბავშვის დაცვის გარანტიაცაა, რომელიც მოკლებულია მშობლების მზრუნველობას, ან რაღაც მიზეზთა გამო აღმოჩნდა განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში.

სწორედ კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებათა განმტკიცებას და მის დაცვას ემსახურება თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი, რომელსაც ბელა სარია ხელმძღვანელობს.

**– ქალბატონო ბელა, ვხედავთ, მთელი სიმწვავით დადგა დღის წესრიგში მოზარდთა უკონტროლობა, იმატა ბავშვებში აგრესიამ, დანაშაულობებმა. რა ხდება? რატომ მომრავლდნენ არასრულწლოვანი მკვლელები და არასრულწლოვანი მოკლულები? რაში ხედავთ პრობლემას და რამდენად ერთვება ამ პრობლემებში თქვენი ცენტრი?**

– მოზარდთა დამნაშავეობა დღეს თბილისისათვის განსაკუთრებულ პრობლემად იქცა, პრობლემად, რომელიც ფაქტობრივად დამოკლეს მახვილივით დაეკიდა დედაქალაქს თავზე. მატულობს რიცხვი დანაშაულში ჩართული მოზარდების, სამწუხაროდ, მატულობს იმ მოზარდების რიცხვიც, რომლებიც უკვე სასჯელმისჯილები არიან, ან ელოდებიან სასჯელს. ძალზედ დამაფიქრებელია საერთო სტატისტიკა. მაშინ, როცა 24 ბავშვზე მეტი არასოდეს ყოფილა თბილისის ბავშვთა კოლონიაში, ამჟამად 211 პატიმარი ბავშვი იხდის სასჯელს. განსახილველად 400-მდე საქმეა პროკურატურაში, არასაპატიმრო სასჯელს იხდის 300-მდე მოზარდი, წინასწარდაკავების იზოლატორში 115 მოზარდი ელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს არის ძალიან დიდი რიცხვი თბილისისათვის.

ეს ჩვენს ცენტრს არ დარჩენია მხედველობის მიღმა, რადგან ცენტრის პრეროგატივაა ამ პრობლემების კურირება და ამ პროცესების მართვა. ვიდრე ცენტრში ფუნქციონირებდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამა – ბავშვთა კრიზისული დახმარების სამსახური, ჩვენ ამ პრობლემას წარმატებით ვართმევდით თავს. შეიძლება ამბიციურად ჟღერდეს, მაგრამ ცენტრის დახურვის საშიშროებას ემთხვევა მოზარდთა განსაკუთრებულად ჩაბმა დანაშაულში. ფაქტობრივად ჩვენს ცენტრს ევალა ყველა საპრევენციო საქმიანობის განხორციელება თბილისში.

**– მაშ, რა მოხდა? რატომ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ ცენტრის არსებობა, როცა მისი საჭიროება ცხადია და უფრო მეტიც, დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია?**

– წარმატებული რომ იყო ჩვენი საქმიანობა დედაქალაქის მასშტაბით, ეს ემჩნევა იმ სტატისტიკას, რომელიც მას შემდეგ „აფეთქდა", რაც ჩვენს ცენტრს შეუწყდა დაფინანსება, რადგან გაძნელდა იურიდიული სტატუსის განსაზღვრა.

პროგრამული დაფინანსება დამთავრდა, ანუ ჩვენ სხვა პროგრამა, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ. ამდენად, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემცირდა ყურადღება ბენეფიციარების მიმართ, რამაც გამოიწვია დანაშაულობების მატება. ფაქტობრივად აღარ არსებობს სამსახური, რომელიც იმუშავებს დანაშაულის პრევენციაზე.

**– ვის შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება და როგორ შეიძლება ვუშველოთ ასეთ მოზარდებს?**

– უნდა განისაზღვროს ცენტრის იურიდიული სტატუსი. ცხადია, დიდ საქმეს აკეთებს მთელი საგანმანათლებლო ბლოკი, განათლების სამინისტრო, სკოლები და ა. შ. რომლებიც თავის საკეთებელს კარგად ართმევენ თავს, მაგრამ ძალიან ცოტაა სოციალურ-სარეაბილიტაციო და ფსიქო-სარეაბილიტაციო ცენტრების ქსელი.

**– ბავშვებთან მუშაობა, მით უმეტეს თქვენს ბენეფიციარებთან ურთიერთობა, რთული და ფაქიზი საქმეა, როგორ ართმევთ ამას თავს?**

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## პირველი ლედი ღუდუშაურის კლინიკას ესტუმრება

**ბავშვთა** საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ღუდუშაურის კლინიკაში პერინატალური დიაგნოსტიკის ცენტრისა და თანდაყოლილი სიმახინჯეების ადრეული გამოვლენის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრება.

პროგრამა რისკის ჯგუფში მყოფი ფეხმძიმე ქალბატონების ნაყოფის გენეტიკურ კვლევას გულისხმობს.

აღნიშნული პროგრამა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად ხორციელდება და სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას და თანდაყოლილი სიმახინჯეების ადრეულ გამოვლენას ისახავს მიზნად.

## დახმარებას გაუწევენ

**ბავშვთა** დაცვის საერთაშორისო დღეს თბილისის მერიის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ცენტრი და ბავშვთა საკრებულო საქველმოქმედო აქციას გამართავს სახელწოდებით – „ვეხმარებით პატიმარ და განსასჯელ ბავშვებს".

აქციის ფარგლებში დაგეგმილია ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დაწესებულებებში პატიმარი და განსასჯელი მოზარდების მონახულება.

სასჯელაღსრულებლის დეპარტამენტის სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებული მოზარდებისთვის კონცერტი გაიმართება, რომელშიც ქართული ესტრადის მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. კერძოდ – კაბუ, თიკა ჯამბურია, ჯაბა ქარსელაძე, სალომე წვერაიძე, ნინო ქარსელაძე, შავი პრინცი და საბავშვო-საესტრადო კოლექტივების მომღერლები.

ინტერპრესნიუსი

# სს „საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

სს „საქართველოს ბანკის" (შემდგომში „ბანკი") აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება განსაზღვრულია 2007 წლის 22 ივნისს, 18:00 საათზე. ბანკის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ბანკის 2006 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცება;
2. ბანკის 2006 წლის საქმიანობის შესახებ მმართველთა საბჭოს ანგარიშგებისა და ბანკის მომავალი გეგმებისა და სტრატეგიის დამტკიცება;
3. ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდისა და ახლადემიტირებულ აქციებზე უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ;
5. ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
6. სხვადასხვა.

2007 წლის 22 ივნისის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს „ერნსტ ენდ იანგის" მიერ აუდიტირებული ბანკის 2006 წლის ფინანსური შედეგები.

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2006 წლის საქმიანობის შესახებ;
2. ცნობად იქნას მიღებული და მხარი დაეჭიროს ბანკის მომავალ გეგმებსა და სტრატეგიას (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბანკის საქმიანობის გაფართოებას უკრაინაში, აზერბაიჯანსა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში).

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდა 7,5 მილიონი აქციის გამოცემის გზით, საიდანაც:

– 1,157,407 აქცია გამოყენებული იქნება 2006 წლის სექტემბერში „შემპერ Augustus B.V."-გან (ფონდი, რომელის მრჩეველია „HBK Investments") მიღებული 25,000,000 აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული კონვერტირებადი სესხის კონვერტაციისთვის;

– 650,000 აქცია გამოყენებული იქნება ბანკის აღმასრულებელ თანამშრომელთა საკომპენსაციოდ;

– დარჩენილი ნაშთი გამოყენებული იქნება ბანკის ზოგადი დაფინანსებისა და შემდგომი შესყიდვების მიზნებისთვის.

2. ახლადემიტირებულ აქციებზე გაუქმდეს უპირატესი შესყიდვის უფლება.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:**

1. დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრისთვის (ბ-ნი ალან ჰირსტი) ანაზღაურების გაზრდა სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად.

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:**

1. აქციონეთა კრების გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოყვანისა და უკანასკნელ პერიოდში კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით, რეკომენდირებულია ბანკის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. აქციონერთა მიერ ბანკის წესდების ახალი რედაქციისა და ცვლილებებთან დაკავშირებული ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია ბანკის სათაო ოფისში, ინვესტორებთან ურთიერთობის სამსახურში, ან ბანკის ვებ გვერდზე;
3. ბანკის აქციონერებს შესაძლებლობა ექნებათ წერილობითი ფორმით წარადგინონ საკუთარი წინადადებები ან შენიშვნები წესდების ახალი რედაქციის მიმართ (აგრეთვე, მიიღონ განმარტებები) ბანკის სათაო ოფისში, ინვესტორებთან ურთიერთობების სამსახურში 2007 წლის 12 ივნისამდე. ამგვარი წინადადებებისა და შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილვა მოხდება საერთო კრებაზე.

**ბანკის აქციონერთა წლიური კრება გაიმართება სს „საქართველის ბანკის" სათაო ოფისში, პუშკინის ქუჩა №3, თბილისი, საქართველო.**

**აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2007 წლის 22 ივნისს, 17:00 საათზე.**

**აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2007 წლის 21 მაისი.**

**აქციონერთა წლიურ კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2007 წლის 12 ივნისიდან სს „საქართველოს ბანკის" აქციების რეგისტრატორთან – სს „კავკასრეესტრი" შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა, თბილისი, საქართველო.**

№ 102. პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.

● სანაკოევმა კოკოითის ულტიმატუმს ბანდიტური გამოწვევა უწოდა, ურჩია მას, თავი ანებოს შეიარაღებულ პროვოკაციებსა და ქართული სოფლების ბლოკირებას. მუქარზე კი მუქარითვე უპასუხა, ადეკვატური ზომების მიღებას წინ არა დაუდგება რაო და დასძინა, ვინ მისცა კოკოითს ოსი ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება, აგერ, რამდენი ოსი მიდგას გვერდშიო

◎ კოკოითმა თქვაო...

# სიმი სულ უფრო იჭიმება

## რუსეთის ჩაწოდებით სეპარატისტები თავხედდებიან




გუშინ ამოიწურა ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ბატონ ედუარდ კოკოითის ულტიმატუმი — თუ „ქურთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე" სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტი სანაკოევი და მისი თვითმარქვია ადმინისტრაცია თავისას არ მოიშლიან და ნებით არ გავლენ სამხრეთ ოსეთის კუთვნილი ტერიტორიიდან და, საერთოდ, საქართველოს ხელისუფლება თუ კვლავ განაგრძობს ცხინვალის რეგიონის დროებით ადმინისტრაციულ ერთეულად წოდებულ ტაკიმასხარაობას, საქართველოს რევანშისტული ხელისუფლების ამ მარიონეტებს ზემოხსენებული ტერიტორიიდან განვსხამო, ანუ ომით იმუქრება.

ამ ვადის ამოწურვამდე თვითმარქვია კოკოითი რუსეთის ელჩმა ბატონმა კოვალენკომ მოინახულა და ერთობ საქმიანი სჯაბაასიც ჰქონდათ, რისი შედეგიც, უფრო ზუსტად კი კრემლის პოზიცია, ბატონმა ელჩმა ცხინვალის ტელევიზიით გვამცნო: ძალზე არასასურველია (წაიკითხე — დაუშვებელია — კ. გ.) სანაკოევის მონაწილეობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში; პრობლემები, უპირველესად, უშუალოდ ქართულ-ოსური (ანუ კოკოითის) მოლაპარაკებების გზით, შერეული მაკონტროლებელი კომისიის სხდომებზე უნდა გადაწყდესო. ბატონმა ელჩმა საქართველოს ხელისუფლებას „ურჩია", თავი ანებოს ამ ე. წ. დროებით ადმინისტრაციულ ერთეულს, რადგან ამან, შესაძლოა, ვითარების დაძაბვა გამოიწვიოსო.

სანაკოევმა კოკოითის ულტიმატუმს ბანდიტური გამოწვევა უწოდა, ურჩია მას, თავი ანებოს შეიარაღებულ პროვოკაციებსა და ქართული სოფლების ბლოკირებას. მუქარზე კი მუქარითვე უპასუხა, ადეკვატური ზომების მიღებას წინ არა დაუდგება რაო და დასძინა, ვინ მისცა კოკოითს ოსი ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება, აგერ, რამდენი ოსი მიდგას გვერდშიო.

საქართველოს ხელისუფლებაც გაალიზიანა კოკოითის თავხედობამ. ძალზე გამოკვეთილად, მოზომილად და ცხადად ითქვა, კოკოითი ზუსტად იმას მიიღებს, რასაც დაიმსახურებსო.

კოკოითი რომ თავისთავად ვერაფერი მოწინააღმდეგეა, გასაგებია, მაგრამ — რუსეთი?

მოსკოვი რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე საქართველოს ვეტოს გამოცაა გაბრაზებული. თითქოსდა, რას მოვითხოვთ? საქართველოს იმ ტერიტორიებზე განლაგებული საბაჟო გამშვები პუნქტების ლეგალიზებას, რომელთაც ქვეყნის ხელისუფლება დროებით ვერ აკონტროლებს. თუ რუსეთი მხოლოდ ფორმალურად კი არა, საქმითაც ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სეპარატისტული რეჟიმების უკანონობას (რაც მას სხვადასხვა უმაღლესი დონის ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოწერებით აქვს დადასტურებული), მაშ რაღას ჯიუტობს? თავად მოითმენდა, რომ მის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს რაც და როგორც მოეპრიანებოდა, ისე შეეტან-გამოეტანა და რუსეთისთვის არავითარი ანგარიში არ გაეწია?

ისე, ზემოთქმული ლოგიკით — სეპარატისტული რეჟიმების უკანონობას თუ ცნობსო — რუსეთის ელჩსაც არაფერი ესაქმებოდა კოკოითთან. რადგან ეუთოს, გაეროსა და თვით დსთ-ის სამიტებზე მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთი ვალდებულებას კისრულობს, არც თავის ტერიტორიაზე გააჭაჭანოს სეპარატისტების ოფიციალური წარმომადგენლები თუ წარმომადგენლობები და არც არავითარი საქმე არ დაიჭიროს მათთან. არადა, ხომ ეზიდებოდა და ეზიდება კიდეც აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში სურსათ-სანოვაგესა თუ იარაღს? ეკონომიკურად ამ გალეტილებს ხომ სწორედ რუსეთით უდგათ სული და მათი ბაქი-ბუქის უკანაც ეს სახელმწიფო დგას?

ბაღაფშმა და კოკოითმაც მშვენივრად უწყიან, რომ რუსეთს ჯერჯერობით, მაინც, სჭირდებიან. ურუსეთოდ მათი საქმე წასულია. საქართველომ კი რა ქნას? როდემდე უნდა ამტკიცოს ისედაც ყველა საერთაშორისო იურიდიული ნორმითა თუ ისტორიულად დამტკიცებული, რომ აფხაზეთიცა და შიდა ქართლიც მისი განუყოფელი ნაწილებია?!

საერთაშორისო თანამეგობრობა ანგარიშს რუსეთს უწევს. რუსეთის ჩაწოდებით კი სეპარატისტები თავხედდებიან და გვემუქრებიან.

სიმი თანდათან სულ უფრო იჭიმება და როდესმე ხომ გაწყდება კიდეც?!

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ კანონმდებლები

# ეს ქაღალდის ხარჯვა იქნება და სხვა არაფერიო

## ოპოზიცია ქონების საკუთრების სრულ ამნისტირებას მოითხოვს

*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ქონების ლეგალიზების შესახებ იმ კანონპროექტის განხილვა დაიწყო, რომელსაც დეპუტატები დაახლოებით სამი თვეა ელოდებიან. იგი სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მოამზადა და თავის დროზე ინტერფრაქციულ ჯგუფს წარუდგინა, სადაც ის დაიწუნეს. ოპოზიციის განმარტებით, ის ვარიანტი ძალიან „ნედლი" იყო და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. უმრავლესობამ, კანონპროექტის დასახვეწად, შიდა კონსულტაციები გამართა. ერთ-ერთი ასეთი კონსულტაციის დროს, ბენდუქიძემ ინტერფრაქციული ჯგუფი, ასე ვთქვათ, არაკორექტულად მოიხსენია, რასაც ოპოზიციის აღშფოთება მოჰყვა. ჯგუფის ოპოზიციონერმა წევრებმა ბენდუქიძისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მან ამაზე უარი თქვა და ოპოზიციამ, ინტერფრაქციული ჯგუფიც დატოვა, რასაც, საბოლოოდ, მისი დაშლა მოჰყვა.*



ოპოზიცია აცხადებს, რომ კანონპროექტი ამჯერადაც იმ სახით არის წარმოდგენილი, რომელიც მან ერთხელ უკვე დაიწუნა. კერძოდ, ოპოზიცია აღნიშნავს, რომ მასში ასახული არ არის პრეზიდენტის დაპირება საყოველთაო ქონებრივი ამნისტიის შესახებ.

**„კანონპროექტში ნათქვამია, რომ ამნისტია და ქონების ლეგალიზება არ შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც საკუთრების გამო პრობლემები უკვე შეექმნა. კანონი იმოქმედებს მხოლოდ იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე აქვს. იმ მესაკუთრეებს კი, ვისაც ქონება ან დაუნგრიეს, ან ჩამოართვეს, ან იძულებითი ჩუქების ხელშეკრულება დაადებინეს, კომპენსაცია არ ერგებათ. მიგვაჩნია, რომ ასეთი კანონის მიღებას არავითარი შედეგი, ქაღალდის ხარჯვის გარდა, არ მოჰყვება. შემოგვაქვს ალტერნატიული კანონპროექტი, ქონების საკუთრების სრული ამნისტირების მოთხოვნით,** — განაცხადა კონსერვატორების ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ.

მათი კანონპროექტის მიხედვით, თუ ქონება მესაკუთრეს უსაფუძლოდ ჩამოერთვა, მან კომპენსაცია უნდა მიიღოს. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი კი განმარტავს, რომ სასამართლოს ძალით კომპენსაციის მიღებას არანაირი სპეციალური კანონი არ სჭირდება.

კახა ბენდუქიძის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, სავარაუდოდ, არც ერთი ოპოზიციური ფრაქცია არ დაუჭერს მხარს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში მომხდარი პრივატიზაციის ყველა საქმეს შეეხება. ბინების, სახელმწიფო საკუთრების ან ნივთების მეპატრონეებს, უკანონო მფლობელობის შემთხვევაშიც კი, ახალი კანონი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, თუკი ეს ქონება „გაყიდულია" და ამჯერად კანონიერი მყიდველის ხელშია. კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ, ყველა ასეთ საქმეს წერტილი უნდა დაესვასო, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგი ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, ასეთი ტიპის დარღვევების გადახედვა არ დაიწყება. კანონი ყველაზე მკაცრი იმ ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების მიმართ იქნება, რომლებმაც ქონება ხელში სტატუსის გამოყენებით ჩაიგდეს.

**მზია გელენავა**



◎ პრეზენტაცია

# სხვა ერების შეთვისება, ვგონებ, არავისგან გვესწავლება!

## ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ საქართველოში ევროპის საბჭოს „ეროვნულ უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის" განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების პაკეტის პრეზენტაცია გამართა.**

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ საქართველო ისტორიულად მრავალეროვნული ქვეყანაა და მას სხვადასხვა ეთნოსის თანაცხოვრებისა და მას თანაარსებობის დიდი გამოცდილება აქვს. მისი თქმით, 2005 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოში ევროპის საბჭოს „ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის" რატიფიცირება თანამშრომლობისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისივე აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები სწორედ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერაა დამუშავებული და პრობლემის მათ მიერ ხედვას ასახავს.

**„ჯერ კიდევ პრობლემაა, ერთი მხრივ, კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოს რეგიონებთან და, მეორე მხრივ, საკუთარი ლინგვისტური, კულტურული თუ სხვა სახის თვითმყოფადობის შენარჩუნება იმ გაფანტულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც თბილისსა და რეგიონებში ცხოვრობენ. სახელმწიფოს ორივე მიმართულებით უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. რეკომენდაციების დამუშავება და შეჯერება ძალიან დიდხანს მიმდინარეობდა, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ისინი მომავალში სახელმწიფო უწყებებისთვის რეალურ სამოქმედო გეგმად იქცევა. ეს უწყებები კი იმ იდეის ხორცშესხმას შეუწყობს ხელს, რომ თითოეულმა ადამიანმა ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი",** — თქვა სოზარ სუბარმა.

პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ გაეროს მუდმივი კოორდინატორი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი რობერტ უოტკინსი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში იგორ გაონი და ECMI-ის რეგიონალური წარმომადგენელი ტომ ტრიერი.

რეკომენდაციებში ჩამოყალიბებულია პრობლემათა არსი და დასაბუთებულია, რომ აუცილებელია სახელმწიფომ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის თანასწორობის დამკვიდრებას, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას შეუწყოს ხელი და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების — რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უზრუნველყოს. რეკომენდაციებში დიდი ადგილი ეთმობა ამ მიმართულებით საქართველოს მედიასაშუალებების მუშაობას.

**„შარშან მივიღეთ დოკუმენტი, რომელშიც ცალკე თავი ეთმობა ჟურნალისტთა მიერ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა დისკრიმინაციას. ცხადია, ცალკე აღებული დოკუმენტი პრაქტიკას ვერ შექმნის, თუ არ იქნა თვითრეგულირება. ამ მიმართულებით, ტელევიზიაში მონიტორინგის ჯგუფი შეიქმნა, რომელიც მუდმივ მონიტორინგს ახდენს ჟურნალისტთა მიერ ეთნიკური ნორმების დარღვევის ფაქტებზე და მომხმარებელთა საჩივრებზე რეაგირებს. ალბათ, უკეთესი იქნება, მომავალში ამ კამპანიის უფრო მასშტაბურად წარმართვა, რომ საზოგადოებრიობაც ინფორმირებული იყოს, თუ რას უნდა მოელოდეს ობიექტური, დაბალანსებული, მიუკერძოებელი მედიისაგან. სამწუხაროდ, ქართული მედია ნაკლებადაა ორიენტირებული მომხმარებელზე და ეთნიკური ჯგუფები არ წარმოადგენენ მათთვის პრიორიტეტს",** — აღნიშნა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თამარ კინწურაშვილმა.

იმედია, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის სამოქალაქო თანასწორობის პრინციპებზე აგებული ტოლერანტული, მშვიდობიანი გარემოს ფორმირებას. საქართველო მსოფლიოში სტუმართმოყვარეობითაა ცნობილი და არც სხვა ერების პატივისცემა ეშლება, თუმცა ხშირად გაცემული სიკეთის მცირე ნაწილსაც კი ვერ იღებს თავად. სხვა ერების შეთვისება, ვგონებ, არავისგან გვესწავლება!

**მაია ხორგუაშვილი**

# ცისცინათელები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II: „როცა ადამიანი სიკეთეს აკეთებს, უნდა გვახსოვდეს, რომ სიკეთის მადლი ღვთისაგან არის მონიჭებული და იგი ეფინება არა მარტო იმ ადამიანს, არამედ მის ოჯახს, მის შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ექლვნება 1 ივნისს

## „მზეო, მზეო, ცხრათვალა...“







**ბავშვთა** დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პირველ ივნისს, მრავალ საზეიმო ღონისძიებასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტრადიციულად დიდ გალა-კონცერტს გამართავს ანსამბლი „გვირილა“.

როგორც ანსამბლის უცვლელმა ხელმძღვანელმა, ღირსების ორდენის კავალერმა ერნა წიფურიამ გვითხრა, „გვირილა“ უამრავ სიურპრიზს პირდება ბავშვებს. კონცერტის დაწყებამდე ფილარმონიის წინ 2000 ბუშტს ააფრენენ.





მრავალფეროვანი პროგრამით, ლამაზ სამოსში გამოწყობილი, ანსამბლის სოლისტები გიორგი ღოღობერიძე, თათია ბააკაშვილი, სალომე აფციაური და სხვები წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. აჟღერდება ჩვენი თაობის საყვარელი კომპოზიტორის ალექსანდრე ბასილაიას (ბუთხუზას) მუსიკაზე დაწერილი ძველი და ახალი სიმღერები. წარმოდგენილი იქნება ახალი სპექტაკლი „მზეო, მზეო, ცხრათვალა...“ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ლაშა-გიორგი“, „ფრესკა“ „მეჯიქ-შოუ ბალეტი“ და „პარადაიზი“.

ცხინვალის რეგიონიდან, სოფელ ქურთადან სპეციალურად ჩამოიყვანენ ბავშვებს ამ ზღაპრული კონცერტის სანახავად, მათთან ერთად ვარაუდობენ, რომ ჩამობრძანდება თავად დიმიტრი სანაკოევი. როგორც ყოველთვის, ასევე მოწვეულები იქნებიან მზრუნველობას მოკლებული და მიუსაფარი ბავშვები, რომელთაც საზოგადოებისაგან გასაკუთრებული სითბო და ყურადღება სჭირდება.

პროექტის მხარდამჭერები არიან: სადაზღვევო კომპანია „ჯიფია-ჰოლდინგი“, „ავერსი ფარმა“, „მეტეხი გრუზი“, „ელიტ-ელექტრონიქსი“, ნაყინი „თოლია“, „ნესტლე“, „ვენუს ჯორჯია“. ჩაცმულობაზე ზრუნავს მაღაზია „კოკო“.

საინფორმაციო მხარდაჭერა: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ჟურნალი „ბომონდი“, ტელეკომპანია „მზე“, „პირველი სტერეო“, „ალანია“, „ჩვენი რადიო“.

თხუთმეტი წელია, რაც ანსამბლი „გვირილა“ თავისი უზადო ხელოვნებით უდიდეს ბედნიერებას ჰგვრის თავის ერთგულ მაყურებელს, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ანსამბლის ხელმძღვანელს ერნა წიფურიას. ასეთი მუსიკალური კომპოზიცია მხოლოდ პროფესიონალურ ანსამბლს შეუძლია შეასრულოს.

**ნანა ჭიჭინაძე,**
„სრ“. საკ. კორ.

**სურათებზე:** „გვირილას“ სოლისტები **გიორგი ღოღობერიძე** და **თათია ბააკაშვილი;** ჩვენი ცხოვრების ყვავილები.







სიფრთხილე გვმართებს!

(მეორე გვერდიდან)

## როგორ ვიცავთ ბავშვთა უფლებებს?

— ადამიანი არის სოციალური არსება და მაშინაა ბედნიერი, როცა ის არის რეალიზებული. ბავშვიც ადამიანია და ის მხოლოდ მაშინ არის კმაყოფილი, როდესაც გრძნობს, რომ ის შემთხვევითობა, დარღვეული კანონზომიერება კი არ არის ამ სამყაროში, არამედ სრულფასოვანი ადამიანია.

ცარიელი ადგილის ამოსავსებად უნდა იყოს გამოყენებული ყველა რესურსი, რომელიც დედაქალაქს აქვს. ჩვენი ცენტრის რესურსებიც მნიშვნელოვანია. ჩამოვაყალიბეთ ბავშვთა საკრებულო, რომელმაც მოიცვა 209 სკოლა. საკრებულოს წევრი ბავშვების პოზიტიური ენერგია მიიმართა სწორედ კეთილი საქმეების განსახორციელებლად. მათ მიერ ხდება პრობლემათა ინიცირება.

**— ქალბატონო ბელა, ყველაფერს ამას თქვენი ცენტრი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აკეთებს?**

— რა თქმა უნდა. ეს პროგრამა მუშაობს დაფინანსების გარეშე, ენთუზიაზმზე. დღევანდელ პირობებში ჩვენი თანამშრომლების მიერ ასეთი უზარმაზარი შრომის გაწევა ანაზღაურების გარეშე სამოქალაქო გმირობის ტოლფასია. მათ ვერ მისცეს თავს უფლება მიიხურონ ამ ცენტრის კარი და ბავშვები, რომლებიც ელიან მათ მზრუნველობას, ქუჩის ამარად დატოვონ.

**— ხომ ვერ გამოყოფდით თუნდაც ერთ მაგალითს თქვენი მუშაობიდან?**

— ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. ახლახან მოკლული მოზარდი სალომე მამაცაშვილი 2006 წლის 2 თებერვლიდან იყო ჩვენი ცენტრის ბენეფიციარი. ეს ბავშვი იყო მძიმე ფსიქომენტალური პრობლემების მქონე. ჩვენმა სოციალურმა მუშაკებმა იმუშავეს მასთან საფუძვლიანად. ის ფაქტობრივად ქუჩიდან ავიყვანეთ, მოვაწესრიგეთ, მოვუარეთ, მივუჩინეთ კონკრეტული სოციალური მუშაკი, მასთან მუშაობდა ფსიქოლოგი. ჩვენ გვაქვს დასკვნა ფსიქიატრიული კლინიკიდან. დასკვნა ასეთია: სალომე მამაცაშვილს აქვს ოპოზიციურ-გამომწვევი ქცევითი აშლილობა, რომელიც ხასიათდება ხეტიალის სინდრომით და თან ახლავს პედაგოგიური ჩამორჩენილობა.

ჩვენი სოციალური მუშაკი ზრუნავდა მასზე. ზედამხედველობა იყო მთელი დღე, ზოგჯერ გვიან ღამემდე, ამ ხეტიალის გამო. მივიყვანეთ იმ კონდიციამდე, რომ ის დაბრუნდა სკოლაში, ჩაერთო სასწავლო პროცესში, სურვილი გამოთქვა, ჰყოლოდა მოძღვარი. 2007 წლის იანვრიდან კი ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, გაგვეგრძელებინა მასთან მუშაობა. თან გვეგონა, რომ ის უკვე ინტეგრირებული იყო საზოგადოებაში და დაუბრუნდა ცხოვრების ნორმალურ რიტმს. არაფრით არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ასეთი რთული ფსიქომენტალური ტიპის ბავშვები ადვილად ექცევიან რისკ-ფაქტორული გავლენის ქვეშ და ადვილად ხდება მათი დაცურება. ჩვენს სოციალურ მუშაკს გზის ფული მაინც რომ ჰქონოდა, სალომეს კვლავ ექნებოდა სისტემური ზედამხედველობა და ეს ტრაგედია არ დატრიალდებოდა.

**— რამდენი ხანია, რაც თქვენი ცენტრი არსებობს და რამდენად სჭირდება ის სახელმწიფოს?**

— თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი დაფუძნდა 1999 წლის ივნისში, მაშინ, როცა ბავშვთა პრობლემებზე ასე აქტიურად არავინ საუბრობდა. ალსანიშნავია ის, რომ ეს ცენტრი არის სამთავრობო სტრუქტურა. ცენტრი მუშაობას წარმართავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების გათვალისწინებით, არამედ იმ პარალელური სტრუქტურებისა და სისტემების გათვალისწინებით, რომლებიც მეტნაკლებად ეხებიან ბავშვთა უფლებებს.

ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი სახელმწიფოს სჭირდება და ეს კონვენციის რატიფიცირების დოკუმენტშიც არის მითითებული. კონვენციის რატიფიცირების აქტი ავალდებულებს კონვენციაზე ხელმომწერ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში საქართველოს, შექმნას ბავშვების უფლებადამცავი ორგანიზაციები ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

**ლეილა ნოდია**



**სურათზე:** ცენტრის ხელმძღვანელი ბელა სარია საქველმოქმედო აქციაზე გიგი წერეთელთან, გეგა გეგელიასთან და სხვებთან ერთად.

*P. S. საკვირველია, რატომ უნდა უხდებოდეთ ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის მესვეურებს დამკვიდრებისათვის ბრძოლა, როცა ასეთი ცენტრები ყველა სახელმწიფოში აპრობირებულია. სხვა რომ არაფერი, ეს ხომ ჩვენი მოზარდების კეთილდღეობისათვის კეთდება. ალბათ, ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ ასეთი ცენტრის მუშაობას. თვით კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ასე დალოცა ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრთან არსებული ბავშვთა საკრებულო სიონის საკათედრო ტაძარში: „როცა ადამიანი სიკეთეს აკეთებს, უნდა გვახსოვდეს, რომ სიკეთის მადლი ღვთისაგან არის მონიჭებული და იგი ეფინება არა მარტო იმ ადამიანს, არამედ მის ოჯახს, მის შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს“.*

*ლ. ნ.*

# თვალსაზრისი

● ქალაქის ხელისუფლების სამეურნეო ხელმძღვანელობაში „უმწიფრობისა“ და მართვის გამოცდილების დეფიციტის გამო, ქუთაისი დღეს მართვის სისტემის აშკარა კრიზისშია. არ არსებობს ქალაქის ხელმძღვანელობის გუნდი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ქალაქის ეკონომიკური განვითარების მართვას და ამ გუნდს არავითარი პერსპექტივა, ანუ ქალაქის მდგრადი განვითარების კონცეფცია არა აქვს



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ◎ იმერეთის მხარე

# გვიშველის კი სურნელი ვარდის?

## ქუთაისს განვითარების კონცეფცია არა აქვს!

*ქუთაისი... უმშვენიერესი ქალაქი საქართველოს ასევე უმშვენიერეს მხარეში. მდინარე რიონის გაღმა-გამოღმა გაშენებულ ქალაქში დღეს 184 ათასი კაცი ცხოვრობს.*

*ქუთაისი საქართველოს მეორე დედაქალაქია, — ამბობენ ქუთაისლები და ამ ნათქვამს თავისი საფუძველი აქვს.*

*რამდენიმე თვეა, რაც ქალაქს ახალი მერი ჰყავს. ამით გათავდა რამდენიმეთვიანი მითქმა-მოთქმა იმ მოულოდნელ ცვლილებებზე, რაც ქუთაისის მერიაში ამას წინ უძლოდა.*

*ქალაქის საზოგადოებას ახლა ისღა დარჩენია გასარკვევი, რისი იმედი უნდა ჰქონოდა ქალაქის საკრებულოს ბიუროს, როცა ქუთაისის თავკაცს ირჩევდა. იყო კი სწორი ის კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ის შეირჩა? რატომ იყო ქუთაისელთა დაბალი აქტივობა კონკურსში?*

*რა დაინახა მერის არჩევის „დემოკრატიულად“ იმპროვიზებული ფასადის მიღმა მერობის ყოფილი კანდიდატმა?..*

თემას რომ არ გადავუხვიო ჩემი ორი მეგობრის ნათქვამი მინდა მოგახსენოთ: უკრაინელი ქალბატონი ალა მაქსიმეს ასული, (უკრაინის მოდელების სახლის დირექტორი) როცა ბაგრატიდან ქალაქს გადასცქეროდა და უკრაინულად თითქოს ლოცულობდა, მერე რუსულად გვითხრა **„ქუთაისს ვარდის სურნელი ასდის“**.

ქუთაისელი, ამჟამად ისრაელის მკვიდრი გრიგოლ კაკიტელაშვილი, როცა დიდი ხნის განშორების შემდეგ 2001 წელს ქუთაისში ჩამოვიდა და მიწას ეამბორა დაჩოქილი, ქუთაისელ მეგობრებს თითქმის გვიყვირა: **„ეს რა გიქნიათ, რას დაგიმგვანებიათ ეს მსოფლიო ქალაქიო“**... გრიშა ისევ აპირებს ჩვენთან ჩამოსვლას, მიხარია, რომ საგრძნობლად შეცვლილ ქალაქს ნახავს, მაგრამ ეს არ არის ჩვენი დამსახურება. ძალიან მცირეა ჩვენი, ქუთაისლების წვლილი და წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობას ხელებში შევცქერით.

ვინ უნდა უპატრონოს ქუთაისს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში? ვინ უნდა იზრუნოს და იმუშაოს გულმოდგინედ ჩვენი კეთილდღეობისთვის?

ორ თვეზე მეტია ბატონი ნიკო კაჭკაჭიშვილი დამტკიცებულია ქალაქის მერად. ამით გათავდა რამდენიმეთვიანი მითქმა-მოთქმა, ვინ იქნებოდა ქალაქის მერი და ვინ არა. მიწყნარდა ლაპარაკი იმ თითქმის მეტისმეტად იშვიათ და მოულოდნელ ცვლილებაზე, რაც ქუთაისის მერიაში ამას წინ უძლოდა და ნ.კაჭკაჭიშვილის მერად გახდომა ყველამ უნდა მივიღოთ, როგორც დასრულებული საქმე.

*ქუთაისს ისეთი ხელმძღვანელობა სჭირდება, რომელიც კარგად აცნობიერებს, თუ რა არის პრიორიტეტები, მისი მთავარი მისია, რამეთუ მისია განსაზღვრავს სამოქმედო სტრატეგიას, სტრატეგია კი მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურას.*

*მერიის მართვის უპირველესი ამოცანა არის ორიენტირება, შედეგის მიღწევასა და ეფექტურ მოქმედებაზე. ამისთვის კი აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრა იმისა, თუ რა არის მიზანი, შედეგი და ეფექტური ოპერირების კრიტერიუმი. მმართველობა არსებობს მხოლოდ ერთი მიზნისთვის და ეს არის მერიის საქმიანობის შედეგი. მთელი რესურსები უნდა იქნეს მობილიზებული სწორედ ამ დასახული შედეგის მისაღწევად.*

საბჭოეთის დანგრევის შემდეგ ქუთაისს სჭირდებოდა სამეურნეო დარგის მუშაკი, მენეჯერი. მაგრამ თანამდებობებზე ყოფილი პარტიული და კომკავშირული აქტივის კადრები დასკუპდნენ და მათთან მეწარმეს „თარჯიმანი“ ესაჭიროებოდა. სწორედ მაშინდელი არაკომპეტენტური ხელმძღვანელი კადრების წყალობით შევძელით ეროვნული მრეწველობის განადგურება, დღეს დანგრეული კედლებიდან უმინო ფანჯრებიღა იცქირებიან.

ახალი მერის არჩევა რას მოგვცემს, რას გააკეთებს სასიკეთოს ბატონი ნიკო კაჭკაჭიშვილი? თუ მის ბიოგრაფიას გადავხედავთ, ის პარტიული ფუნქციონერი არ ყოფილა, და როგორც ჩანს მათემატიკის კარგი სპეციალისტია, მაგრამ თუ არ ჩავთვლით ქალაქის ვიცე მერად 2005 წლის ოქტომბრიდან დღემდე, მერის მოადგილედ, ვიცე მერად და მერის მოვალეობის შემსრულებლად, (საკითხავია ისიც, მერიაში რა დამსახურებით მოხვდა) მუშაობის გარდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე არ უმუშავია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, მისი ვიცე მერობის პერიოდში ორი თვის დანიშნულმა წინა მოქმედმა მერმა თანამდებობა დატოვა, საკითხავია თუ მერმა გადაცდომა ჩაიდინა და როგორც ახალბედას გადაცდომის ასაცილებლად გონივრული რჩევა ვერ მისცა, მისი ბედი, როგორც ვიცე მერს, მასაც უნდა გაეზიარებინა და თუ არ სურდა რჩევა მიეცა, მაშინ ვერაფერი შვილი შერმადინობა შეძლებია.

დიდი ფაცი-ფუცით მოიწვიეს ქალაქის საკრებულოს ბიურო. (მე, მერობის კანდიდატი, ბიუროს დაწყებამდე ერთი საათით ადრე გამაფრთხილეს). კონკურსის მიხედვით ბიუროზე წარმოდგენილი პროგრამის დაცვის მაგივრად, საკრებულოს ბიუროს წევრების მიერ ჩემთვის დასმული იქნა კითხვები, რომელთა უმრავლესობა, ქალაქის მერად არჩევის შემთხვევაში, სტატისტიკისთვის თუ დამჭირდებოდა.

დიდი დავიდარაბისა და ოფიციალური მიმოწერის შემდეგ, როგორც იქნა გადმომცეს უკვე ქალაქის მერის კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტები, აღმოჩნდა, რომ ბატონ ნ. კაჭკაჭიშვილს წარდგენილი ჰქონდა სამოქმედო პროგრამის პრიორიტეტები, რომელთა ძირითადი ნაწილი ინფრასტრქტურის მოწესრიგებას ეხებოდა და მხოლოდ ორ თეზისში საუბარია ეკონომიკაზე, ისიც ზოგადად და მხოლოდ სანელებლების საწარმოზე... ამასთან, წარმოდგენილი პრიორიტეტები იმაზე მეტყველებს, რომ ისინი წარმოადგენენ არა ნიკო კაჭკაჭიშვილის სამოქმედო პროგამის თეზისებს, როგორც კონკურსის პირობა ითვალისწინებდა, არამედ მერიის სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მექანიკურ ნაზავს.

დიდი ილია ბრძანებდა: *„აქამომდე მივიწყებულს ეკონომიკურ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა. თავი და ბოლო ერის წინსვლისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინ და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიკური ღონიერებაა, უამისოდ იგი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს, რაც გინდა სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობისთვის.“*

ქუთაისის მაგალითზე. მრეწველობის საბაზო დარგების გადარჩენა-არგადარჩენაზე ფიქრი, ეკონომიკური გარემოს შეცვლისათვის, მეწარმეობისათვის საინვესტიციო და ხელშემწყობი გარემოს შექმნა, საწარმოების ამუშავება — ხელისუფლების მოვალეობა და უდიდესი პასუხისმგებლობაა.

*ქუთაისში, სადაც კვლავ მნიშვნელოვანია სიღარიბის მასშტაბები, დაუშვებლად დაბალია ცხოვრების საშუალო მაჩვენებელი, მთავარი პრობლემა მაინც უმუშევრობაა, რის გამოც დღითი დღე იზრდება საზღვარგარეთ როგორც წასულთა, ისე პოტენციური მიგრანტების რიცხვი. ისიც ფაქტია, რომ ქალაქში დარჩენილთა უმრავლესობა უცხო ქვეყანაში მომუშავეთა დახმარებით ირჩენს აქ თავს.*

ჩემი, როგორც ქუთაისის მერობის კანდიდატის სტრატეგიული მიზანი, მთავარი ორიენტირი იყო: ქალაქის მრეწველობის გადაქცევა ეკონომიკის ხერხემლად, საწარმოთა რეამინაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ტურიზმის მხარდაჭერა. პროგრამაში განსაზღვრული იყო უპირველესი ამოცანები და პრინციპები საბოლოო მიზნის მისაღწევად: **ქუთაისი რეალურად უნდა იქცეს მეორე სამრეწველო და კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად.**

სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უნდა იქცეს ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის კონცეპტუალურ დოკუმენტად, რაც საშუალებას იძლევა ყველა პროგრამა მართვის ერთი მთლიანი სისტემის ჩარჩოში მოექცეს და ქალაქის მერს, როგორც სახელმწიფო მენეჯერს, მომხდინა არა მერიის სამსახურების ფუნქციონალური მართვა, არამედ ქალაქის განვითარების სტრატეგიის მართვა.

**მე აღფრთოვანებული ვარ იმით, რაც ამ ნიჭიერმა ქალბატონმა წარმოადგინა — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ჩემს პროგრამაზე.**

ყოველივე ამის მიუხედავად, თავჩაღუნულმა ბიურომ ეთხმად (ერთი წევრი არ ესწრებოდა) ხელაწევით უყარა კენჭი ბატონ ნ.კაჭკაჭიშვილს.

არც უნდა გამკვირვებოდა ეს მხარდაჭერა. თითქმის მთელი ქუთაისისთვის იყო ცნობილი ვინ უნდა ყოფილიყო ქალაქის მერი. მე საკრებულოს ბიუროს ერთსულოვნებამ განმაცვიფრა, რადგან მსგავსი რამ კომპარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსაც კი არ ახასიათებდა. საკრებულოს ბიუროს წევრები, საკრებულოს აპარატის უფროსი პირდაპირ გასაოცარი მონდომებით ცდილობდნენ ამ საქმის მოკვარახჭინებას. მათი ასაკისა და თანამდებობისთვის შეუფერებელი ეშმაკობების შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანს.

რამდენად მიესადაგება ქალაქის მერის კონკურსის წესით არჩევა დღევანდელ აუცილებლობას, ეს სხვა თემაა და ჩემგან უგუნურება იქნებოდა იმის მტკიცება, რომ არჩევნები ხალხის პირდაპირ არჩევანზე გაკეთებულიყო, ქალაქის სათავეში ნამდვილად ღირსეული კადრი მოვიდოდა, მაგრამ არჩევანი უკეთესი ნამდვილად იქნებოდა. როგორც დიდი ილია ბრძანებდა „ცხოვრება სწვრთნის კანონს და კანონიც სწვრთნის ცხოვრებას“ და ესეც მალე გასწორდება, მაგრამ კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ დაცული რომ ყოფილიყო და ქუთაისლებს დაეჯერებინათ ქუთაისის საკრებულო, რომელიც კონკურს ატარებდა ნამდვილად კანონმორჩილი, საქმისადმი და ქალაქისადმი დიდი ერთგულებით გამოირჩევიანო — ქუთაისის მერობის კანდიდატები ორი ადამიანით არ შემოიფარგლებოდა. არჩევანიც პროფესიული, სამეურნეო მართვის გამოცდილების მქონე, კომპეტენტურ პიროვნებაზე გაკეთდებოდა.

ეს კონკურსი სათავეშივე გამრუდებული გახლდათ.

დარღვეულია კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ მუხლი 39 — მერის არჩევის წესი: *მერის კანდიდატურა შეირჩევა კონკურსის წესით, საკრებულოს ბიურო მიღებული განცხადებებიდან არჩევს კვალიფიციურ კანდიდატებს და წარუდგენს საკრებულოს. მერი არჩეულად ჩაითვლება, თუ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.*

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ქუთაისის მერის არჩევა უნდა მომხდარიყო არა საკრებულოს ბიუროს მიერ, არამედ საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.

ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ მე განბილებული ვარ, არამედ იმისთვის, რომ კანონი არ აღსრულდა. არის ზნეობრივი კანონიც, რომელიც ადამიანთა თანაცხოვრებას უდევს საფუძვლად, მისი დაცვა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა რა სოციალური, პოლიტიკური რწმენისაც არ უნდა იყოს იგი.

ნიკო კაჭკაჭიშვილი, ალბათ უპრეტენზიო, პატიოსანი და თავდადებული მუშაკია. ის აირჩიეს იმ იმედით, რომ მისაღებია მხარის ხელმძღვანელობისთვის, თუმცაღა, ისიც აშკარაა, რომ ბატონი ნიკო ადვილად სამართავია.

ჩვენი თანაქალაქელი და ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელია, ეს პრესტიჟია, ქალაქელთა სიამაყეა — **მაგრამ ესეც ფიქციაა, რადგან ყოვლად წარმოუდგენელია და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო პარლამენტის თავმჯდომარე და ამავდროულად გულისყურით მოეკიდო საქართველოს მეორე ქალაქში მიმდინარე პროცესებს.**

ნინო ბურჯანაძის მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ იგი არ დაინტერესებულა რამდენად კანონის დაცვით ჩატარდა კონკურსი, მას არ ეცალა გადაეხედა მერობის კანდიდატთა პროექტებისთვის, გასაუბრებოდა ორ კანდიდატს და ღრმად ჩაეხედა საქმეში.

**მრავალგზის მითქვამს, რომ ქალაქს ასობით ადამიანი ჰყავს ჩემზე გამოცდილი, საუკეთესო პიროვნული თვისებებით და შესაძლებლობით, რომელნიც კარგად უხელმძღვანელებდნენ ქუთაისს, მაგრამ ისინი კონკურსს განერიდნენ, რადგან ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი.**

ქუთაისლებს გული გაუტყდათ ამ თეატრალურად დადგმული არჩევნების გამო. ხალხმა ირწმუნა, რომ მის ნება-სურვილს არავინ გაითვალისწინებს.

ახლა ხაზგასმით უნდა ვთქვა ჩვენი საზოგადოების ამორფულობაზე. ერთი მხრივ ყველაფერი გასაგები და გარკვეულია, დღეს საქართველოში ჩამოუყალიბებელია ინტელექტუალური კონკურენცია. არა იმიტომ, რომ ეს არავის სჭირდება, ან ჩვენი ინტელექტუალური დონეა დაბალი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს კონკურენციისთვის აუცილებელი პირობა — მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ამავე დროს გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ვინ ვის სჯობს, ვინ ვისზე უკეთესია. უფრო ზუსტად: კრიტერიუმი კი არსებობს, მაგრამ ... მხოლოდ ფორმალურად. პროფესიონალი კადრების შერჩევის პრობლემა ნაცნობ მეგობრობის, ნათელ-მირონობის ნიშნით წყდება და თანამდებობებს ხშირად იკავებენ ამ ადგილისთვის „უმწიფარი“, შეუფერებელი ადამიანები.

რაც მთავარია, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად მისაღები გახდა მის წიაღში უკვე ჩამოყალიბებული „თამაშის“ წესები. ამიტომ იგი არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ეს წესები შეცვალოს.

ქუთაისის მერობა ჩემი ოცნების მიზანი არასოდეს ყოფილა. უბრალოდ მივიჩნიე, რომ დღეს ისეთი დროა, თითოეული ჩვენთაგანი უნდა იყოს პასუხისმგებელი მშობლიური ქალაქის წინაშე. და არა ისე, რასაც სხვანი ჩვენი დაუდევრობითა და წინდაუხედაობით, ყველაფერზე გულაცრუებულობის, ყველაფერზე გულგრილობის გამოც, თავზე გვახვევენ.

როგორც არ უნდა ვეცადო, გამიჭირდება საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის დარწმუნება იმაში, როგორ მოახვია თავს საკრებულოს თავისი კანდიდატი იმერეთის რწმუნებულმა, ბატონმა აკაკი ბობოხიძემ. მას პრეზიდენტი ენდობა და დასტურად ისიც კმარა, რომ ორჯერ მისცა ნდობის მანდატი ერთსა და იმავე მაღალ თანამდებობაზე, მაგრამ ბატონ აკაკის უნდა ახსოვდეს და გაითვალისწინოს, რომ ქუთაისელი ჟურნალისტების შეკითხვაზე პრეზიდენტის ერთმნიშვნელოვანი პასუხი იყო: — **„ქუთაისი ინდუსტრიულ ქალაქად უნდა იქცესო.“** ეს არის ქალაქის სტრატეგია. ქუთაისის ხელმძღვანელობამ სტრატეგიული გეგმის დამუშავება და მართვა შეძლოს კი არა, თვით ქალაქის ფუნქციონალურ მართვასაც ვერ ახერხებს.

*ქალაქის ხელისუფლების სამეურნეო ხელმძღვანელობაში „უმწიფრობისა“ და მართვის გამოცდილების დეფიციტის გამო, ქუთაისი დღეს მართვის სისტემის აშკარა კრიზისშია. არ არსებობს ქალაქის ხელმძღვანელობის გუნდი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ქალაქის ეკონომიკური განვითარების მართვას და ამ გუნდს არავითარი პერსპექტივა, ანუ ქალაქის მდგრადი განვითარების კონცეფცია არა აქვს.*

**ლავრა ნიშნიანიძე,**
ქუთაისის მერობის ყოფილი კანდიდატი

# დღევანდელობა

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ერაყში ან ავღანეთში ქართველი ჯარისკაცი რომ გაიტაცონ (თუ მოისურვებენ, ხომ არც ეს გაუძნელდებათ!), ვიდეოთი „გამოჰფინონ“, ყელის გამოჭრით დაემუქრონ და აალაპარაკონ ისე, როგორც სჭირდებათ, რა უნდა ვქნათ?



◎ იყიდება სიწმინდეები

## მამა კონსტანტინე: ჯვარი რომ არ აღგვემართა და წირვა არ ჩაგვეტარებინა, ტაძარს საარქციო დარბაზად გაყიდდნენ

ბოლო სამ წელიწადში მრავალი ობიექტია გაყიდული. და გასხვისებულია; ბევრზე ჯერ ჯერობით ტენდერია გამოცხადებული. გასაყიდთა სიას ახლა ეკლესიებიც შეემატა.

ქალაქის მე-9 კლინიკურ საავადმყოფოში მდებარე ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის გასხვისებას აპროტესტებდნენ ოპოზიციური პარტიის ლიდერები: ჯონდი ბაღათურია, სალომე ზურაბიშვილი, მამუკა გიორგაძე და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც არც თუ დიდი პუნქტუალურობით და ორგანიზებულობით გამოირჩეოდნენ.

მე-9 საავადმყოფო ლაზარეთად, საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსად და სასულიერო სემინარიად აშენდა. ათეული წლების მანძილზე მას დაკარგული ჰქონდა თავის ფუნქცია. ამ ეკლესიის პირველი მოძღვრის, მამა კონსტანტინეს განმარტებით, ტაძარი მხოლოდ ამა წლის 18 მარტიდან გახდა მოქმედი. გუმბათზე ჯვარი აღიმართა, ტაძარში ხატები დაბრძანდა.

**„ყოვლად დაუშვებელია ისეთი წმინდა ადგილების პრივატიზაცია, სადაც ხალხი ლოცულობს, მაგრამ ზოგიერთ ბრიყვს მაინც მოუვიდა ეს აზრად. ჩვენ რომ ჯვარი არ აღგვემართა და წირვა არ ჩაგვეტარებინა, ტაძარს საარქტო დარბაზად გაყიდდნენ და არა როგორც ეკლესიას“,** — აღნიშნა მამა კონსტანტინემ.

ცნობილი გახდა, რომ ეკლესიის გატანა ტენდერზე გადაიდო. შეკრებილები სწორედ იმას მოითხოვდნენ, რომ ეს ინფორმაცია საჯარო გამხდარიყო.



**„კატეგორიულად მოვითხოვთ, არა თუ საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოიღონ ეკლესია, არამედ საბოლოოდ შეწყდეს ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. არიან კონკრეტული პირები, ვისაც ასეთ საქმეებზე ხელის მოთბობა სურთ. თუ გონს არ მოეგნენ, მათს მხილებას დავიწყებთ“.** აღინიშნა აქციაზე.

სრული შემადგენლობით უერთდება მე-9-ე საავადმყოფოს მედპერსონალიც და ტაძრის საპატრიარქოსათვის დაუყოვნებლივ გადაცემა მოითხოვეს.

**სოფიო გოგლიძე**

◎ ფიქრები ხმამაღლა

*რა წინასწარმეტყველი მე ვარ, პოლიტიკოს-პოლიტოლოგი, მაგრამ, ღმერთმანი, მიფიქრია (და ახლობლებთან მითქვამს): ერთხელაც რომ მოხდეს და ალ-კაიდას შტაბში მსოფლიოს რუკას დახედონ (ან ახედონ) და ეს „ჯორჯია“ საიდანღა გამოტყვრა, მოდი, ჭკუა ვასწავლოთ, როგორ უნდა სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა ისლამურ ქვეყნებშიო, მაშინ?*

## კარგი და, მართალი რომ იყოს?

**ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დივერსანტების ჯგუფი — კამიკაძეები რომ შემოგზავნონ საქართველოში (გაუჭირდებათ თუ რა!) და აფეთქებათა სერია წამოიწყონ (ნიუ-იორკში შეაღწიეს და ჩვენში ვერ მოახერხებენ?) მაშინ?**

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ერაყში ან ავღანეთში ქართველი ჯარისკაცი რომ გაიტაცონ (თუ მოისურვებენ, ხომ არც ეს გაუძნელდებათ!), ვიდეოთი „გამოჰფინონ“, ყელის გამოჭრით დაემუქრონ და აალაპარაკონ ისე, როგორც სჭირდებათ, რა უნდა ვქნათ? აშშ გვიშველის თუ იორდანიის მეფე, რეფორმები რომ ასე მოგვიწონა? კი ბატონო, ისლამური არმიის გზავნილზე „ვირეაგიროთ“ სხვადასხვანაირად — ერთმა თქვას უგემური ხუმრობააო, მეორემ — აბსურდიაო, მესამემ — პროვაკაციაო, მეოთხემ — ხაკერების ოინიო. ისეთი ნორჩი და ნაზი პარლამენტარიც კი „ვარეაგირეთ“ როგორიც ნინო-უმცროსია...

ოღონდ, ერთიც ვნახოთ და, ეგ გზავნილი ნატურალური აღმოჩნდეს (ასეც ხომ შეიძლება მოხდეს) — მაშინ რას ვშვრებით? მზადა ვართ საამისოდ? რაღაც რომ არა ვგავართ საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლ ქვეყანას?

„მაშინ ვილამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს“...

**თამაზ ებანოიძე**

◎ გლობუსი

# არასასიყვარულო

**ზარ-ზეიმით** ჩაიარა საქართველოს ეროვნულმა დღესასწაულმა სამხედრო აღლუმით, ბათუმის აეროპორტის გახსნით, ახალი შადრევნებითა და სკვერებით, ღია ცის ქვეშ გამართული ტოტო კუტუნიოს კონცერტით და სხვა მრავალი ღონისძიებით.

ოპოზიციის ნაწილმა ვერაფერი მოუხერხა ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნის თარიღს. მან ვერ შეაგნებინა ხელისუფლებას, რომ ღონისძიების 9 აპრილს ჩატარება უმჯობესია, ვიდრე 26 მაისს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქვეყნის წინაშე არსებული მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საკითხის მოგვარება დღესასწაულის თარიღზე იყოს დამოკიდებული.

ზეიმი მაშინ ახარებთ, როდესაც მართლაც ეზეიმებათ, როდესაც მინიმალურად მაინც დაკმაყოფილებულია ოჯახი საკვებ-სანოვაგით, როდესაც ყოველდღიური, მძიმე პრობლემები, გაზრდილი კომუნალური და სხვა სახის გადასახადები დამოკლეს მახვილივით არ ჰკიდია ქვეყნის უმრავლესი მოსახლის თავს. როდესაც ბაზარი იწვის, ძნელია ამაღლებული საზეიმო განწყობა გქონდეს; ერი და ბერი მაშინ იქნებიან ერთნი საზეიმო სულისკვეთებაში, როდესაც ხელისუფლების და მათი ოჯახის წევრების უზრუნველყოფილი ცხოვრების მესამედი მაინც ექნება საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას.

ეროვნული დღესასწაულით, ფაქტობრივად შემოდგომამდე, თავდება სავალდებულო ოფიციალური ღონისძიებები. ცხადია, აქ არ ითვლება საქართველოში უცხო სახელმწიფოთა ოფიციალური დელეგაციების ვიზიტები, წინ ზაფხულის ცხელი სამი თვეა, შედარებით შემცირებული, მეტადრე აგვისტოში, პოლიტიკური აქტიურობით. ქართული პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით ოპოზიციისათვის აქტიურობის პერიოდად შემოდგომა ითვლება, რაც არაერთხელ დამტკიცდა კიდეც რეალური მაგალითებით. შემოდგომამდე კარგა დროა



დარჩენილი. მანამდე მრავალი საინტერესო მოვლენა მოხდება, მათ შორის დიდი რვიანის და დსთ-ს სამიტებიც იგულისხმება. დსთ-ს სამიტში მონაწილეობის მიწვევა უკვე მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა, დაესწრება თუ არა ის სამიტს, ღმერთმა უწყის.

დსთ-ს შესახებ, მისი მნიშვნელობის არსზე არერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს რუბრიკაში. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თუ სხვა არაფერი, ეს ორგანიზაცია იმის შესაძლებლობას მაინც იძლევა, რომ წევრი სახელმწიფოების ლიდერები შეხვდნენ და ესაუბრონ ერთმანეთს. მართალია წინა სამიტის დროს სააკაშვილ-პუტინის ფრაგმენტული საუბარი სულაც არ იძლეოდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების დასაწყისის ნიშანს. ჯერაც არავინ იცის, გაიმართება თუ არა ამჯერად ორი ქვეყნის პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, სამიტში მონაწილეობა მაინც დადებითად აღიქმება რუსული მხარის მიერ, რაც უმნიშვნელო რამ არ არის.

მავანი ალბათ იტყვის, რომ მნიშვნელობა აქვს რუსეთის დადებით ან უარყოფით შეფასებას, როდესაც ამერიკელები გვყვანანო. მით უმეტეს, ვინც წინა სტატიას გადაავლო თვალი, სადაც რუსეთის ზოგიერთ მეცნიერს რუსეთისათვის საქართველოს ეკონომიკური მნიშვნელობა ნოლამდე აქვს დაყვანილი, ნამდვილად არ დაეთანხმება საქართველოსთვის რუსეთის როლის ხაზგასმაში. ზოგმა შეიძლება ისიც თქვას, როგორც იქნა, გვეშველა, რუსეთს თუ აღარ ვაინტერესებთ, ამას რა სჯობიაო, მაგრამ დაბოლმილი მეზობლის ყოლა, თანაც ისეთის, როგორიც რუსეთია, დიდი ვერაფერი შეღავათია. და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რუსეთთან კეთილმეზობლური ეკონომიკური კავშირების ქონა, რუსეთის ვეება ბაზარი. მას შემდეგ, რაც გაუარესდა კომუნიკაციები, ქართულ ბაზარზე რუსული საქონელი, კვების პროდუქტებიდან დაწყებული, საყოფაცხოვრებო ნივთებით დამთავრებული, სანატრელი გახდა.

საქართველოს ხელისუფლების ხმამაღალი განცხადებები, ზოგი ჭირი მარგებელიაო და რუსეთის ბაზარის დახურვამ ხელი შეუწყო საქართველოს პროდუქციის დასავლეთის ბაზარზე გასვლასო, ავანსად ნათქვამს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვინმემ იკითხა, რა პროდუქციაზეა საუბარი ან რა პროდუქციას აგზავნის საქართველო უცხოეთში? თუ ღვინო აქვთ მხედველობაში, თითო-ოროლა ბოთლის რომელიღაც ქვეყნის სუპერმარკეტში გამოჩენა დიდ წარმატებად ვერ ჩაითვლება. მსოფლიო ბაზარი ჭარბად არის გაჯერებული კონკურენციაგამძლე ტრადიციული ევროპული ქვეყნების ღვინოებით, აგრეთვე ჩილეს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის და სხვა ქვეყნების არანაკლები ხარისხის ღვინოებით. რაც შეეხება ბოსტნეულსა და ხილს, რომელიც თავის დროზე საბჭოეთის ბაზარზე უხვად გაგვქონდა, იმდენად ცოტაა, რომ საკუთარი ბაზარიც ვერ დაუკმაყოფილებია. მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულზე და ხილზე თბილისის ბაზრებში არსებული ასტრონომიული ფასები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ხილისა და ბოსტნეულის მოყვანისათვის შესანიშნავი კლიმატური პირობებისა და ნიადაგის მიუხედავად, ბულგარულ წიწაკასა და იმპორტულ მწვანე ვაშლებს გვთავაზობენ და ისიც რა ფასებში! როდესაც ალუჩისა და ტყემლის ქვეყანაში 1 კგ. ალუჩის ფასი 7-სა და 12-ლარს შორის მერყეობდა თუნდაც ერთი კვირის წინათ, ზედმეტია ქართულ საექსპორტო ხილსა და ბოსტნეულზე საუბარი.

მოყვანილი თუნდაც ეს პრიმატიული მაგალითები ყურით მოთრეული ნამდვილად არარის, ცხოვრებისეულია, ნამდვილია.

ასე რომ, რუსეთთან დაკავშირებით ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი სუპერ ეროვნული სულისკვეთების მატარებელი პირის განცხადება — თუ შეგვეშვება კარგი იქნებაო, შიშველი პატრიოტიზმია და არა პრაგმატული აზროვნება.

საჭიროება მოითხოვს, გამოსწორდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა.

საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ თქვა ამის შესახებ, უმაღლეს დონეზე შეხვედრის მზადყოფნაც გამოითქვა, მაგრამ რუსული მხარე თავს იკავებს. მას ჯერაც ვერ გადაუხარშავს რუსეთის ხელისუფალთა მიმართ, პირველი პირიდან დაწყებული, დუმის რიგითი დეპუტატით დამთავრებული, კოკისპირული ლანძღვა-გინება, აშკარად გამოკვეთილი პროამერიკანიზმი, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებისათვის გამომწვევი მხარის დაჭერა, საერთაშორისო არენაზე რუსეთის ზღვარდაუდებელი კრიტიკა და სხვა მრავალი. ორ ქვეყანას შორის კავშირები ისეთ დონეზეა, რომ უამრავ ნეგატიურში ჭირს მცირედი პოზიტიურის პოვნა. მაღალ დონეზე არაერთი შეხვედრის გამართვა იქნება საჭირო დამოკიდებულების გამოსწორებისათვის, მაგრამ თუ ყოველივე განხორციელდა, მიესალმება ამას ვაშინგტონი? საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მარტო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა არ არის. კარგა ხანია

# დღევანდელობა

● აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონიზმის სურვილმა გადაძალა რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გეგმები, გამოიკვეთა მენტორული ტონი. მსოფლიო საკითხთა მოგვარებისას რუსეთთან კონსულტაციები უკანა პლანზე გადავიდა. რუსეთმა მიიჩნია, რომ აშშ-ი იგნორირებას უკეთებდა რუსეთს თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში (მათ შორის, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს), როგორიცაა შუა აზია და კავკასია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექსპოზიცია

## „ქვილთ-არტი" – პირველად საქართველოში

გალერეა „რაციო", რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" გენერალური დირექტორის დავით გაბუნიას ინიციატივით, დიდი ხანი არაა, რაც დაარსდა, უკვე მეოთხე ექსპოზიციას მასპინძლობს, ამჯერად, საქართველოს ტექსტილის ჯგუფის გამოფენას, კერძოდ, „ქვილთ-არტს"

ქართული ქვილთის ჯგუფი საქართველოს ტექსტილის ჯგუფს მიეკუთვნება და მისი ერთ-ერთი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ პირველად ქვილთის ხელოვნება საზოგადოებას 2003 წელს ამერიკელმა მხატვარმა არენ მასგრეივმა ტექსტილის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმზე გააცნო. ქვილთი ტექსტილის ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, იგი სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ქსოვილისგან იქმნება და შემდეგ ლიანდაგდება, არის ხელით დამუშავებულიც. ხელოვნების ეს დარგი ადრეულ საქართველოში ყოფილა განვითარებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მიუვიწყებიათ.





ქვილთის ჯგუფში, ძირითადად, 80-იანი წლების მხატვრები გაერთიანდნენ. დღეისთვის ქართული ქვილთის ავტორთა ნამუშევრების ექსპოზიცია სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია, ავსტრალია, აშშ, საფრანგეთი) დიდ მოწონებას იმსახურებს.

ჯგუფის და, ბუნებრივია, ამ ექსპოზიციის ერთ-ერთი მიზანი ქართული ქვილთის ტექნიკის აღორძინება და პოპულარიზებაა. გამოფენაზე რვა ავტორის 32 არტ-ქვილთის ტექნიკით შესრულებული ნამუშევარია წარმოდგენილი – კომპოზიციები აბსტრაქტულ თემაზე, ნატურმორტები, ორნამენტები, პეიზაჟები, საბნები, ბალიშები, სკივრები და სხვადასხვა წვრილმანი აქსესუარი.

ტატა ბაქრაძე, ირა ლავრინენკო, მანანა აბზიანიძე, ლელა კირთაძე, თამრიკო თუჯიშვილი, ქეთი კარსაშვილი, ნინო ჩარგეიშვილი, ნინო ჟღენტი – ეს იმ ავტორთა სრული სიაა, რომლებმაც ქვილთის ეს ულამაზესი ნამუშევრები შექმნეს და საგამოფენო სივრცე დაამშვენეს.

ამ ექსპოზიციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მაკა ბასილიამ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში გალერეა „რაციო" მოქანდაკეებისა და გრაფიკოსების ერთობლივ გამოფენასაც უმასპინძლებს.

**ლელა დონაძე**

**სურათებზე:** ექსპონატები საგამოფენო დარბაზიდან.



გლობუსი

## საპქუთხედი

შუაში აშშ-ა. მისი მოსაზრება და დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისათვის ანგარიშგასაწევია.

რაც შეეხება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს, არც აქ არის მშვიდი, სასურველი ვითარება. მდგომარეობა კარდინალურად განსხვავდება 2000 წლისაგან, როდესაც აშშ-ს ყურადღება რუსეთის მიმართ არ იყო შემთხვევითი. მსოფლიო პოლიტიკაში მოსული ახალი ლიდერები ბუში და პუტინი სხვაგვარად აღიქვამდნენ საერთაშორისო ვითარებას. პირველს ამოძრავებდა მსოფლიო ერთპიროვნული ლიდერობის მოჭარბებული სურვილი, მეორე ფიქრობდა საკუთარი ქვეყნისათვის დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, საერთაშორისო არენაზე ისეთი ავტორიტეტის შექმნას, რომ სხვადასხვა მსოფლიო საკითხის გადაჭრის დროს რუსეთისათვისაც ეკითხათ აზრი. რუსეთისაკენ ნაბიჯის გადადგმაში ვაშინგტონს ძველი ევროპაც დაეხმარა. საფრანგეთისა და გერმანიის ავტორიტეტული ლიდერები შირაკი და შრიოდერი ამერიკისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის მატარებლებად მოიაზრებოდნენ.

2000 წელს პუტინის აშშ-ი ვიზიტს მოჰყვა 2001 წელს რუსეთის თანხმობა შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგების თაობაზე. 2002 წელს ორმა პრეზიდენტმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ახალი სტრატეგიული ურთიერთობების შესახებ, სადაც ხაზგასმული იყო საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში და სტრატეგიული სტაბილურობისათვის ერთობლივი მოქმედების შესახებ, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, საერთო ძალისხმევა სხვა გლობალური გამოწვევების მიმართ, რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში ერთმანეთისადმი ხელის შეწყობა და სხვა. აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში გამოკვეთილად იყო აღნიშნული რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე.

ორი ქვეყნის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭებოდა ენერგეტიკულ კავშირებსაც. შეიქმნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, აშშ-ს ენერგომოთხოვნილების 20 პროცენტი რუსეთს უნდა დაეკმაყოფილებინა. განიხილეს რუსეთიდან თხევადი გაზის მიღების საკითხიც. აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრმა აბრაჰამმა დაადასტურა თეთრი სახლის მზადყოფნა „გაზპრომისა" და აშშ-ს ენერგოკომპანიებს შორის თანამშრომლობის შესახებ. იყო დაპირება რუსეთში ნავთობისა და გაზის მოპოვება-გამოყენების საქმისათვის მრავალმილიარდიანი ამერიკული ინვესტიციების ჩადების თაობაზეც, მაგრამ დასახული მიზნები ვერ განხორციელდა, რაშიც რუსეთი აშშ-ს ადანაშაულებს. სტრატეგიული თანამშრომლობის ბარიერად პოლიტიკა იქცა.

აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონიზმის სურვილმა გადაძალა რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გეგმები, გამოიკვეთა მენტორული ტონი. მსოფლიო საკითხთა მოგვარებისას რუსეთთან კონსულტაციები უკანა პლანზე გადავიდა. რუსეთმა მიიჩნია, რომ აშშ-ი იგნორირებას უკეთებდა რუსეთს თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში (მათ შორის, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს), როგორიცაა შუა აზია და კავკასია.

გარდა ამისა, რუსეთმა შეურაცხყოფად ჩათვალა ამერიკელთა მხრიდან რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევის მაგალითები, რაც გამოიხატა ამერიკელთა სისტემატურ მოთხოვნებში ხელისუფლების დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით. ამერიკელი პოლიტიკოსები ყოველგვარი რევერანსების გარეშე აკრიტიკებდნენ რუსეთს ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის, მასმედიაზე კონტროლისათვის, განსხვავებული მოსაზრებისათვის ერაყთან, ავღანეთთან, ირანთან, საქართველოსთან, უკრაინასთან მიმართებაში. აშშ-ს ადმინისტრაციას არ მოსწონს კრემლის დამოკიდებულება სირიასთან, ვენესუელასთან, ჰამასთან და სხვა. ამერიკულ მასმედიაში ახალი ძალით იფეთქა კრიტიკამ რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ. ამერიკა რუსეთს ადანაშაულებს ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებაში. ამერიკა ვერ ეგუება რუსეთის გადაწყვეტილებას 2020 წლისათვის აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებისათვის ნავთობის 30 პროცენტის (ნაცვლად დღევანდელი 3 პროცენტისა) და გაზის 25 პროცენტის (ნაცვლად 5 პროცენტისა) მიწოდების თაობაზე. მაგისტრალური ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრების შემდეგ რუსეთი აზიის რეგიონში საექსპორტოდ გაიტანს 80 მილიონ ტონა ნავთობს.

ანტირუსული კამპანიის გვირგვინად ითვლება აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტად ჩეინის ვილნიუსის სიტყვა, რომელშიც მან მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი ანტიდემოკრატიულ ქმედებაში და ენერგეტიკულ შანტაჟში.



დსთ-ს სივრცეში განხორციელებულმა ხავერდოვანმა რევოლუციებმა საბოლოოდ გადააწყვეტინა რუსეთს უფრო მკაცრი პოლიტიკა განეხორციელებინა დასავლეთის მიმართ. ჩვენდა სავალალოდ, ეპიცენტრში საქართველოც არის.

რუსეთში სულ უფრო ხშირად გაისმის შუა აზიიდან ამერიკული სამხედრო ბაზების გაყვანის მოთხოვნა. ამერიკელები, თავის მხრივ, მოითხოვენ კავკასიიდან, კერძოდ საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანას.

რუსი ექსპერტების მიხედვით აშშ-ს საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიაში გაჩნდა რუსეთის ალყაში მოქცევის გეგმა. ვაშინგტონი ღიად უჭერს მხარს ხავერდოვანი რევოლუციების შედეგად ქვეყნების სათავეში მოსულ ხელისუფლებებს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებაშია საქართველო.

რუსი პოლიტიკოსების მიხედვით, აშშ-ს სურვილი, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი, იმით არის განპირობებული, რომ ნატო დაუახლოვდეს რუსეთის საზღვარს, კერძოდ ჩეჩნეთს. გეგმაშია ჩეჩნეთის საკითხის გაინტერნაციონალება და ამ პროცესში ნატოს ჩართვა. რუსეთში ჩეჩნეთიდან შეღწევით საფუძველი ჩაეყრება რუსეთის ერთიანობის დასასრულს.

რუსი ანალიტიკოსების ნააზრევი და ამერიკელთა ნამოქმედარი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. ეჭვის საფუძველი არსებობს. ის სათავეს წინა ხელისუფლების დროს იღებს. შევარდნაძის ხელისუფლება ხშირად აკრიტიკებდა რუსეთს თუნდაც ისეთ საკითხებში, როგორიც იყო საქართველოსათვის შეიარაღების გადმოუცემლობა. ამას წინათ რუსულ ტელეარხ PEH TV-ზე გამოსვლის დროს ყოფილმა რუსმა მაღალჩინოსანმა ივაშოვმა დაწვრილებით ჩამოთვალა ის სამხედრო ტექნიკა, რომელიც რუსეთმა საქართველოს გადმოსცა და ისიც დაუმატა, საქართველომ ეს იარაღი ჩეჩნებს მიჰყიდაო.

წინა ხელისუფლების დროს გაჩენილი ეჭვები ჯერაც არ განელებია რუსეთს. ძველს ახალიც ემატება, რაც საერთო ჯამში სერიოზულად ართულებს ორი ქვეყნის ურთიერთობას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# დისკუსია

კომუნისტური რეჟიმისგან თავდაღწეულ ხალხებს ყოვლად გაზვიადებული და, რაც მთავარია, გამარტივებული წარმოდგენა ჰქონდათ იმ დახმარებაზე, რასაც ისინი უცილობლად მიიღებდნენ განვითარებული ქვეყნებისაგან (ერთგვარი ციური მანანა, მარშალის გეგმის რაღაც ახალი სახესხვაობა). საქართველოშიც ანალოგიური განწყობა იყო გამეფებული



## რა გზა გამოვიარეთ

# ეჰ, ეს გარდამავალი

1988 წლიდან დაიწყო სოციალური სისტემის, ხოლო 1991 წლიდან საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური სტრუქტურების ნგრევა, რამაც უდიდესი ცვლილებები გამოიწვია მთელ მსოფლიოში. წარმოიშვნენ ახალი დამოუკიდებელი (და არა თავისუფალი) სახელმწიფოები, კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე დაიწყო მმართველობის ახალი, პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი და ეკონომიკურად გამართული ფორმების შემოღების მცდელობა, საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა.

როგორც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის ნაშრომში — „დიდი ცვლილებები“ წერს: „თავიდან არც რაიმე მოდელი არსებობდა, არც ზოგადი კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ყოველივე... საკითხი ინტელექტუალურ დონეზე გააზრებლობის გარდა, პოლიტიკურადაც მძიმე მოსახელთებელი აღმოჩნდა კომუნიზმის სწრაფი დეზინტეგრაციით (დაშლით) გაოგნებული დასავლური მენტალიტეტისათვის, საერთო ჯამში დასავლეთიც მოუმზადებელი აღმოჩნდა ყოფილი საბჭოური ტიპის სისტემათა შეცვლის მიმართ კომპლექსური მიდგომის საკითხში. ლოგიკურია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მხრივ მხოლოდ ნაჩქარევი, გარემოებებით ნაკარნახევი იმპროვიზებული ნაბიჯები თუ იდგმებოდა“. ორმხრივი იმედები — როგორც ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, ასევე ზოგადად დასავლეთში, მეტისმეტად ოპტიმისტური და გულუბრყვილოც კი გამოდგა.

კომუნისტური რეჟიმისგან თავდაღწეულ ხალხებს ყოვლად გაზვიადებული და, რაც მთავარია, გამარტივებული წარმოდგენა ჰქონდათ იმ დახმარებაზე, რასაც ისინი უცილობლად მიიღებდნენ განვითარებული ქვეყნებისაგან (ერთგვარი ციური მანანა, მარშალის გეგმის რაღაც ახალი სახესხვაობა). საქართველოშიც ანალოგიური განწყობა იყო გამეფებული. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები და ინტელექტუალური ელიტაც კი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ საკმარისია დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ, რომ დასავლეთი იმწუთშივე დაგვეხმარება და დოლარების წვიმა წამოვა ჩვენთან, რომ საქართველოს კურორტები, ღვინო, ჩაი, ციტრუსები, „ბორჯომი“ და ა.შ. შეინახავს. აღარავის აღარ ახსოვდა ილიას და ნიკო ნიკოლაძის გენიალური მითითებანი, რომ „სხვაზე მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში“, ან კიდევ „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“.

ამასთან, არავინ გაითვალისწინა მყარად ფესვგადგმული, ჯერ კიდევ დიდი გავლენის მქონე კომუნისტური ნომენკლატურის, როგორც ფენის, აქტიური წინააღმდეგობა და თავად მიმდინარე პროცესების ხანგრძლივობის ფაქტორიც.

ბჟეზინსკის აზრით, პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა გარდაქმნის პროცესში გარდამავალი ეტაპი უნდა გაიარონ, რომელიც 3 ფაზისგან შედგება და რომლის ხანგრძლივობა 10-30 წელია. ფაზების ხანგრძლივობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები კომუნისტური სისტემის ნგრევისწინა პერიოდში (1988 წლამდე). ბჟეზინსკი აქ გამოყოფს 4 ტიპის სიტუაციას, როცა წარსული მოვლენები უშუალოდ ზემოქმედებენ გარდაქმნის ტემპებზე:

1. როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ცვლილებები დადებითი ხასიათის იყო (ჩეხეთი, უნგრეთი);
2. პოლიტიკური ცვლილებები დადებითი იყო, ეკონომიკური კი — უარყოფითი (რუსეთი, საქართველო);
3. პოლიტიკური ცვლილებები უარყოფითი იყო, ეკონომიკური კი — დადებითი (ჩინეთი);
4. როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ცვლილებები მკვეთრად უარყოფითი იყო (რუმინეთი).

პოსტკომუნისტური სისტემის პირველი ფაზა ბჟეზინსკის მიხედვით გრძელდება 1-დან 5-წლამდე (1 წელი მაგ. ჩეხეთისთვის, 5 წელი ტაჯიკეთისთვის და ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის).

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნა.

ეკონომიკური მიზანი: სტაბილიზაცია.

**პოლიტიკა** — დემოკრატიული წყობისათვის საბაზრო პირობების შექმნა; თავისუფალი პრესა; ერთპარტიული, პოლიტიკური სახელმწიფო სისტემის დაშლა; დემოკრატიული გარდაქმნების საინიციატივო კოალიციის შექმნა;

**იურიდიულ-სამართალდამცავი სისტემა** — უწყებრივ-მაკონტრელებელი ორგანოების დაშლა.

**ეკონომიკა** — ფასებზე კონტროლისა და სუბსიდიებზე უარის თქმა; კოლექტივიზაციის სისტემის ლიკვიდაცია; პრივატიზაციის პროცესის ნებისმიერი სახით დაწყება.

**დასავლეთის დახმარება** — სავალუტო კურსის სტაბილიზაცია; სასწრაფო კრედიტები და სხვადასხვა სახის მიზნობრივი ხელშეწყობა.

მეორე ფაზა (3-დან 10-წლამდე)

პოლიტიკური მიზანი: გარდაქმნიდან სტაბილიზაციისკენ.

ეკონომიკური მიზანი: სტაბილიზაციიდან გარდაქმნისაკენ.

**პოლიტიკა** — ახალი კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის მიღება: არჩევნები, დეცენტრალიზებული რეგიონალური თვითმმართველობა; მდგრადი დემოკრატიული კოალიცია — ახალი პოლიტელიტა.

**იურიდიული-სამართალდამცავი სისტემა** — იურიდიულ-სამართლებრივი ბაზისის შექმნა უძრავი ქონებისა და ზოგადად კომერციული საქმიანობისთვის.

**ეკონომიკა** — საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი საბანკო სისტემის შემოღება; სისტემური მცირე და საშუალო პრივატიზაცია; დემონოპოლიზაცია; მეწარმეთა ახალი ფენის ჩამოყალიბება.

**დასავლეთის დახმარება** — მიზნობრივი სესხები ინფრასტრუქტურის შესაქმნელად; ტექნიკური და მენეჯერული დახმარება; წარმოების სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრა და საინვესტიციო პოლიტიკის ამის შესაბამისად გატარება; უცხოური ინვესტიციები.

მესამე ფაზა (5-დან 15 წლამდე)

პოლიტიკური მიზანი: კონსოლიდაცია.

ეკონომიკური მიზანი: მეთოდური აღმასვლა.

**პოლიტიკა** — სტაბილური დემოკრატიული პარტიების შექმნა; დემოკრატიული პოლიტიკური ურთიერთობების განვითარება.

**იურიდიულ-სამართალდამცავი სისტემა** — დამოუკიდებელი სამართლებრივი და იურიდიული სტრუქტურების განვითარება.

**ეკონომიკა** — მსხვილი პრივატიზაცია; კაპიტალისტური ლობის შექმნა; კერძომწარმოებლური ურთიერთობების განვითარება და სხვადასხვა სფეროში ცენტრალური სახელმწიფო მართვის მაგივრად საკონტრაქტო სისტემის შემოღება.

**დასავლეთის დახმარება** — ფართო უცხოურ კაპიტალდაბანდებანი; დასავლეთის უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებში (ნატო, ევროკავშირი და სხვ.) გაწევრება. პირველი ფაზა განსაკუთრებულია და ყველაზე ძნელად დასაძლევიც, რადგან იგი არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემის ფუნდამენტურ შეცვლას მოითხოვს. უცნობ ვითარებაში შებიჯებას კი გაბედულება და რწმენაც სჭირდება. პირველი ფაზა კრიტიკულია და წარმატების შემთხვევაში ათვლის თავისებურ წერტილადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ — ესაა საყრდენი მეორე ფაზისათვის, როცა უფრო ღრმაა ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად უფრო ფართო პოლიტიკურ სტაბილიზებასთან შეთავსება გახდება საჭირო.

მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ფაზა წარმატებით დასრულდა, შესაძლებელი ხდება შემდეგი, უკვე მესამე ფაზის დაწყება, ანუ, როცა დემოკრატიული პროცესები და კონკრეტული სტრუქტურები რეალურად იწყებენ მუშაობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებას და, შესაბამისად, კეთილდღეობის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდაც უკვე სტაბილური ხდება — კერძო ინიციატივის გამოვლენისათვის სრული შესაძლებლობების მიცემის წყალობით.

პირველი ფაზის ბოლოს ხალხის გალატაკება და სოციალური დაუცველობა რეალური ხდება, თუმცა ამის დასაძლევად ავტორიტარული მმართველობის შემოღება რეალურ შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომ ხელისუფლებამ დროულად უნდა გამოიყენოს დამოუკიდებლობის მიღწევით გამოწვეული ეიფორია, როცა ხალხი მზადაა ბევრი რამ მოითმინოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად (ჩვენთან ეს შანსი ხელიდან იქნა თავის დროზე გაშვებული) და სწრაფად დაიწყოს იმ ლეგიტიმური დემოკრატიული ღონისძიებების მომზადება, რომელთა წყალობით შემდგომ შესაძლებელი გახდება გრძელვადიანი, შორსგამიზნული ეკონომიკური რეფორმების გატარება. ბჟეზინსკის აზრით, დასავლეთმა ხელი უნდა შეუწყოს პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რომ მომავლისათვის შეიმუშაონ ისეთი იდეური კონცეფცია, რომელიც მათ მტკივნეული სოციალური რეფორმებისათვის საყრდენად გამოადგებათ. რაც უნდა ქმედითი იყოს გარე მატერიალური დახმარება, ეს ვერ მოხსნის ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებით გამოწვეული სოციალური თუ ფსიქოლოგიური სახის უთანხმოებებს. ასე რომ, პოზიტიური, იმედისმომცემი მომავლის პერსპექტივის განცხადება პოლიტიკურადაც აუცილებელია. ხალხმა უნდა გააზროს ცვლილებების ის დადებითი მხარე, რაც გარდამავალ პერიოდში მის შეჭირვებას გაამართლებდა (საქართველოსთვის ასეთი პერსპექტივა უნდა გახდეს ნატოსა და მოგვიანებით ევროკავშირში გაწევრიანება, ნავთობ და გაზსადენების მეშვეობით ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ევროპასა და აზიას შორის უმოკლესი სავაჭრო გზის საქართველოზე გავლა და ა.შ.). დასავლეთის ქვეყნების დახმარება ლამის გადამწყვეტია პირველ ფაზაში და უპირობოდ აუცილებელი ამ ფაზის დასაძლევად, შემდგომ ფაზებში უკვე დასავლეთის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და უცხოური ინვესტიციები იწევს წინა პლანზე. ამგვარი სურათი გამოიკვეთა მაგალითად, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ევროგაერთიანებას შორის ურთიერთობის მხრივ, როცა „გასვლის შესაძლებლობამ“ შეუდარებლად უკეთესი შედეგები მოიტანა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის „ხელის გამართვამ“ (თუნდაც კრედიტებით, რომელთა უმრავლესობა თითქმის ყველა ქვეყანაში დაიტაცეს საქართველოსავით ადგილობრივმა კორუმპირებულმა ხელმძღვანელებმა).

ყველაზე კრიტიკული პირველი ფაზის შემდეგ გარე კაპიტალის შემოზიდვა სულაც არაა გადამწყვეტი ფაქტორი ბჟეზინსკის აზრით. დასავლეთის კაპიტალი რომ თავისთვად წარმატების საწინდარი ყოფილიყო, მაშინ ყოფილი აღმოსავლეთი გერმანია (გდრ) უკვე აყვავებული იქნებოდა. 16-მილიონიანმა გდრ-მ დასავლეთ გერმანიასთან (გფრ) შეერთების შემდეგ 1990-93 წლებში 300 მილიარდი დოლარი მიიღო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დაეწია გფრ-ს და პრობლემებიც მრავლად გააჩნია. ჩინეთმა კი 1979-91 წლებში (მისი მოსახლეობა 1,3 მილიარდია) მხოლოდ 60 მი-

## ანალიზის ცდა

*უკვე მეხუთე თვე დაიწყო, რაც „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დისკუსია, რომლის თემაა — „საქართველო 1985-2003 წლებში“, ანუ ის თვრამეტწლიანი გზა, გარდამავალი პერიოდის სახელწოდებით რომ არის ცნობილი ჩვენს უახლოეს ისტორიაში. ქვეყნის ბედთან ჭირისუფლურად დაკავშირებულ მკითხველს, ალბათ, ახსოვს, თუ რა შემართებით წამოიწყო გაზეთმა აღნიშნული დისკუსია იმის იმედით, რომ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები და განსაკუთრებით სამეცნიერო ინტელიგენცია დიდი მონდომებითა და გულმოდგინებით ჩაებმებოდნენ საქვეყნო მსჯელობაში, რათა გუშინდელი დღის მიუკერძოებული შეფასებით აწმყოც გაგვადვილებოდა და ხვალინდელი დღისკენაც სწორად გვევლო. თუმცა პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იმედი მაინცდამაინც არ გაგვიმართლდა. ჩვენდა გასაკვირად, აშკარად შემბოჭველ ნიჰილიზმსა და ინდიფერენტიზმს წავაწყდით, რაც უთუოდ ამჟამინდელი ბევრნაირად ურთულესი დროის ბრალიც არის, ოღონდ არამც და არამც არ ამართლებს ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებასა და შემოქმედებით ინტელიგენციას. ჭეშმარიტება კი, როგორც მოგახსენებათ, მხოლოდ და მხოლოდ, მაშინ ვლინდება, როცა ბრძოლის ველად ცხარე კამათი და პაექრობაა. სწორედ ამას აღნიშნავს ჩვენი ერთ-ერთი დღევანდელი ავტორიც.*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უბედური წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985-2003 წლებში“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დისკუსია

● ექიმი ყოველგვარ პირობებში უნდა მკურნალობდეს ავადმყოფს. ეს ექიმის პროფესიული მოვალეობაა. ისტორიკოსი ყოველგვარ პირობებში უნდა წერდეს ისტორიას. ეს ისტორიკოსის პროფესიული მოვალეობაა

## ◎ რა გზა გამოვიარეთ

# ეტაპი...

ლიარდი დოლარი მიიღო, სამაგიეროდ, იგი ეკონომიკური განვითარების ტემპებით დღეს პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამრიგად, პირველი ფაზის ბოლოს ეკონომიკური გარდაქმნისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას უკვე არა უცხოური კაპიტალი, არამედ შინა გონივრული პოლიტიკა, სოციალური მოწესრიგებულობისკენ მიმართული ღონისძიებები და თავად ქვეყნის, საზოგადოების მიზანსწრაფვა იძენს.

ბჟეზინსკის სქემის მიხედვით, საქართველო მეორე ფაზის ბოლოში იმყოფება. საჭიროა კიდევ 5-15 წელი, რათა მესამე ფაზა წარმატებით დაიწყოს და დასრულდეს, რაც უკვე განახორციელეს ჩეხეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა.

ჩვენთან პირველი ფაზა ფაქტობრივად დაიწყო 1995 წლიდან, რადგან წინა წლებში სამოქალაქო დაპირისპირებისა და აფხაზეთში კონფლიქტის გამო რეფორმები არ დაწყებულა. 1998 წლიდან ეკონომიკური რეფორმები შენელდა, ქვეყანამ უკან დაიწყო სვლა ცალკეული საგარეო წარმატებებისა და ევროსაბჭოში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიუხედავად.



ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო ზოგიერთი ის რეფორმა, რაც პირველ ფაზაში უნდა გატარებულიყო. ამან გამოიწვია არნახული უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა, მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება და მდიდართა კიდევ უფრო გამდიდრება, ელიტური კორუფციის გაჩენა და საეჭვო მდიდართა ახალი ფენის წარმოქმნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოიპოვა თაობათა ნანატრი დამოუკიდებლობა, საზოგადოება მაინც ძლიერ უკმაყოფილოა — მაინც ვერ მივიღეთ ის, რაც გვინდოდა.

დღევანდელ საქართველოსთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ჩვენ დიდად ჩამოვრჩებით იმ დასავლეთს, რომლის ორგანულ ნაწილად მიგვაჩნია თავი (კვლავ და კვლავ მართლდება ნიკო ნიკოლაძის აზრი, რომ რა გზაც სხვა ხალხებს ხუთი, ექვსი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი სხვა ხალხი ერთი გადახტომით ვერ დაფარავს. ამასვე ადასტურებს ბჟეზინსკიც. მისი გათვლის რა წარმატებებსაც უნდა მიაღწიონ ჩეხეთმა, უნგრეთმა და პოლონეთმა, ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო, სანამ მათი ცხოვრების დონე დასავლეთის ქვეყნებისას გაუთანაბრდება. მაგ: თუ დავუშვებთ, რომ გერმანია და ავსტრია პირობითად წელიწადში 2 პროცენტით მოუმატებენ კეთილდღეობის მაჩვენებელს, ხოლო ჩეხეთ-უნგრეთ-პოლონეთი 4 პროცენტით ანუ 2-ჯერ მეტად, ჩეხეთს დასჭირდება 30 წელი, უნგრეთს — 46, პოლონეთს — 63 წელი მათ დასაწევად. რაღა შეიძლება ითქვას საქართველოზე, რომელიც ძალიან ჩამორჩება ამ სამეულს).

გაირკვა, რომ სახელმწიფოებრიობა სტატიური მდგომარეობა, ან მით უფრო, ერთჯერადი აქტი არ არის და საჭიროა მუდმივი, თავჩაუხრელი მუშაობა, რათა მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული ქვეყნის მოსახლეობის სასიკეთო ინტერესები. საქართველოში ძალზე გაიწელა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ საზოგადოებად გადასვლის პერიოდი. ნათელი გახდა, რომ ჩვენს საზოგადოებას არ გააჩნია არათუ გამოკვეთილი ნება, არამედ არც სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება. ყოველივე ამას თან ერთვის სახელმწიფო სტრუქტურების უუნარობა, როგორმე გადაწყვიტონ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, დასაქმების) კომპლექსი.

ფაქტობრივად ერთადერთ გზას, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი თავისი უარყოფითი დამოუკიდებლობა, საპროტესტო აქციები და კანონთა უპატივცემულობა, ანუ კანონებისათვის გვერდის ავლა წარმოადგენს. რიგითი მოქალაქეები ცდილობენ ინდივიდუალურად გამონახონ საერთო ენა ნომენკლატურული ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებთან და ამ გზით მიაღწიონ თუნდაც მიზერულ უზრუნველყოფას. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ არ ხდება ძლიერი სოციალური კატაკლიზმები ჯერჯერობით ასეთ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. დღეისათვის როგორც ეკონომიკის ამოქმედების მცდელობა, ისე ეროვნული ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი კლიენტელურ ურთიერთობათა ფონზე მიმდინარეობს. ამ ურთიერთობათა გარეშე (ე.წ. „კრიშების“ სისტემა, „წილებში ჩაჯდომა“ ხელისუფალთა მხრიდან) მეტად ძნელია სამეწარმეო საქმიანობა. საშუალო და მსხვილი ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი შიშის მიუხედავად, აქტიურად იწყებს პოლიტიკაში ჩარევას, რათა ბიუროკრატიასთან ბრძოლაში დაიცვას თავისი უფლებები. ნიშანდობლივია, რომ ახლახან გამდიდრებულად უდიდეს უმრავლესობას პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის ახლანდელი (იშვიათად ყოფილი) ფუნქციონერები წარმოადგენენ. ესაა კორუმპირებული ბიუროკრატიული ბურჟუაზია.

**ვაჟა შუბითიძე,**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი.



*დიდი რეკლამის შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიწყო დისკუსია, რომლის თემაა — „საქართველო 1985-2003 წლებში“. მე ისტორიკოსი არ გახლავართ, მიღებული მაქვს ტექნიკური განათლება, ვმუშაობდი გაზეთის რედაქციაში, რამდენიმე ტელეარხზე, რადიოში. მაქვს ვიდეო და აუდიო ჩანაწერების კოლექცია, 1989 წლიდან დღემდე ვაგროვებ დაბეჭდილ მასალას. 9 აპრილის შემდეგ გამიჩნდა დიდი სურვილი — დამეწერა ნაშრომი, რომლის პირველი თავი იქნებოდა 1956 წლის სისხლიანი ტრაგედია. ისტორიკოსობა ჩემი ოცნება იყო. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მიერ დაწყებულ დისკუსიას დიდი აღტაცებით შევხვდი. ვიფიქრე: მთელ ჩემს არქივს რომელიმე ისტორიკოსს გადავცემ-მეთქი. გასულმა სამმა თვემ ჩემი იმედები გააცრუა...*

# ნუთუ ჩვენში მოაზროვნე ხალხი გაწყდა?!

დისკუსიის დასაწყისი იმედიანი იყო. ვიფიქრე, სარედაქციო წერილის შემდეგ ცხარე პოლიტიკა გაიმართებოდა. სინამდვილეში ასე არ მოხდა. პოლიტიკური ხასიათისა მხოლოდ ორისამი წერილი გამოდგა, დანარჩენი წერილები უფერული და უღიმღამო იყო. ასე გრძელდება დღემდე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სარედაქციო წერილი დისკუსიის არც ერთ მონაწილეს, გარდა ბელგიაში მცხოვრები ქართველი ომარ ხახაშვილისა, არავის წაუკითხავს. ნუთუ დისკუსიაში მონაწილე ვალდებული არ არის, რომ იცნობდეს თავისი წერილის დაბეჭდვამდე გამოქვეყნებულ მასალას? სარედაქციო წერილში, ჩემი აზრით, ბევრი საპოლემიკოა, მაგრამ მოკამათე არა ჩანს. ისტორიკოსების ინერტულობას დაემატა ჩვენი საზოგადოების, ინტელიგენციის ინერტულობა.

სად არიან ის ადამიანები, რომელთა თვალწინაც მოხდა ბევრი უმნიშვნელოვანესი მოვლენა? სად არიან ის ადამიანები, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში? ბევრ მათგანს მე პირადად ვიცნობ, ამ ადამიანებს კალამიც უჭრით და ნიჭიც დაამადლა ღმერთმა. მოვლენათა თვითმხილველი ადამიანების გულგრილი დამოკიდებულება დისკუსიისადმი კიდევ გასაგებია, მაგრამ გაუგებარია პროფესიონალი ისტორიკოსების, სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მქონე ადამიანების პოზიცია. ისინი ხომ თავის პროფესიულ მოვალეობას ღალატობენ!

ექიმი ყოველგვარ პირობებში უნდა მკურნალობდეს ავადმყოფს. ეს ექიმის პროფესიული მოვალეობაა. ისტორიკოსი ყოველგვარ პირობებში უნდა წერდეს ისტორიას. ეს ისტორიკოსის პროფესიული მოვალეობაა.

ისტორიკოსებო, რატომ არ წერთ იმის შესახებ, რაზეც მუდმივად საუბრობთ სამსახურში, ბანკეტებზე, ქუჩაში? შეიძლება ითქვას, ვკითხულობ ყველაფერს, რაც ჩვენი სამშობლოს ბოლო პერიოდის ისტორიის შესახებ იწერება (საგაზეთო წერილები, ბროშურები, წიგნები). ვესწრებოდი სადისერტაციო ნაშრომების დაცვას. პასუხი ვერ მიპოვნია კითხვაზე: სად არიან ის ქართველი ისტორიკოსები, რომელთაც ქება-დიდებას ასხამდნენ მათი ოპონენტები „ქართული ისტორიოგრაფიაში შეტანილი დიდი წვლილისათვის“? სად არიან თვით ოპონენტები? ვის ასხამდნენ ხოტბას? ნუთუ სამშობლოს ისტორიის წერა დისერტაციის დაცვით მთავრდება? ჩვენ რომ მსგავსი დისკუსიებით თავი მობეზრებული გვქონდეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა შევგუებოდით ჩვენი ინტელიგენციისა და პროფესიონალი ისტორიკოსების პასიურობას. რამდენადაც ვიცი, დისკუსიები არც ისე ხშირად იმართება. მაშ, რაშია საქმე?

არ მინდა ცუდად გამიგონ, მე არავის ბრალს არ ვდებ (ამის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ!), მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართველები გულგრილნი გავხდით. ასეთი გულგრილნი ვიყავით მაშინ, როდესაც იკარგებოდა სამაჩაბლო, როდესაც იკარგებოდა აფხაზეთი. თითქოს სადღაც რაღაც ხდებოდა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხებოდა. შედეგიც რაც მივიღეთ, ყველას კარგად მოეხსენება. ნუთუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპული ქართველები, ნუთუ 9 აპრილის დაღუპული ქართველები არ იმსახურებენ იმას, რომ მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა იცოდნენ, რისთვის დაიღუპნენ მათი პაპები და მამები? ნუთუ არა ვართ იმის ღირსი, რომ ვიცოდეთ მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, თუ ვინაა დამნაშავე იმ ტრაგედიაში, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს მეოცე საუკუნის 90-იან წლებში? დღეს საქართველოში ცენზურა არ არსებობს, პრესა, რადიო, ტელევიზია თავისუფალია. მაშ, რა გვიშლის ხელს? ჩვენი გულგრილობით ჩვენს თავს ჩვენვე ხომ არ დავუწესეთ ცენზურა?

თქვენი უმრავლესობა ხომ პროფესორია, ხომ უკითხავთ სტუდენტებს ლექციებს, პროგრამა ხომ მოითხოვს 1985-2003 წლების მოვლენათა გაშუქებასა და შეფასებას? დაწერეთ ის, რასაც ეუბნებით თქვენ სტუდენტებს. მე მჯერა, რომ თქვენ თქვენ სტუდენტებთან პირმართალნი და ვალმოხდილნი ბრძანდებით! მოიხადეთ თქვენი ვალი ფართო საზოგადოების წინაშეც! ნუ გვაფიქრებინებთ, რომ საქართველოში მოაზროვნე ხალხი გაწყდა.

**გიორგი კაკუშაძე,**
ჟურნალისტი, ქ. თბილისი

**დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.**

№ 102. პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576

№ 102. პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.

# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ს/ს ტაობანკის დირექტორთა საბჭოს

ჩვენ შევამოწმეთ თან დართული ტაობანკის („ბანკის") ფინანსური ანგარიში, რომელიც შეიცავს უკვე დასრულებულ საბალანსო უწყისს 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის უწყისს, სააქციო კაპიტალის ცვლილების უწყისს და ნაღდი ფულის მიმოქცევის უწყისს, სააღრიცხვო პილიტიკის შინაარსს და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის ვალდებულება ფინანსური ანგარიშისთვის

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშის მომზადებაზე და ზუსტად წარმოდგენაზე საერთაშორისო ფინანსური რეპორტინგის სტანდარტების გათვალისწინებით. ეს პასუხისმგებლობა ითვალისწინებს: ფინანსური ანგარიშის სწორად წარმოსადგენად შიდა კონტროლის დაგეგმვას, განხორციელებას და მხარდაჭერას, გაყალბებისა და შეცდომის თავიდან ასაცილებლად; შესაფერისი ფინანსური პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას; მდგომარეობის შესაფერისი სააღრიცხვო შეფასების გაკეთებას.

აუდიტორთა ვალდებულება

ჩვენი მოვალეობაა ფინანსურ ანგარიშებზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტების გათვალისწინებით. ეს სტანდარტები მოითხოვს აუდიტის ეთიკური ნორმების დაცვით ჩატარებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ფინანსურ ანგარიშში არ იქნება ცრუ მონაცემები მატერიალურ მდგომარეობაზე.

აუდიტი გულისხმობს აუდიტორული სამხილის მოსაპოვებლად პროცედურების ჩატარებას. პროცედურის შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის გადაწყვეტილებაზე, ასევე აუდიტორი აფასებს რამდენად დიდია რისკი ფინანსურ ანგარიშში მატერიალურ მდგომარეობაზე ცრუ მონაცემები არსებობდეს, გაყალბებისა და შეცდომის თავიდან ასაცილებლად. რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის შიდა კონტროლს ფინანსური ანგარიშის სწორად წარმოდგენის მომზადებისას, რათა დაგეგმოს სიტუაციის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმისათვის რომ გამოთქვას თავისი აზრი ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპების სისწორის შეფასებას და მენეჯმენტის მიერ ჩატარებული წინასწარი აღრიცხვის მიზნობრიობას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშის სახელფასო პრეზენტაციის შეფასება.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშები ყველა მონაცემების მიხედვით სწორად ასახავენ ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და მისი ფინანსური საქმიანობა და ნაღდი ფულის მიმოქცევა შეესაბამება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს.

დასკვნების გაკეთების გარეშე, ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ ფაქტს, რომ ბანკის ფინანსური ანგარიშის აუდიტი ჩატარდა 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავდა შედარებით მაჩვენებლებს. ბანკი არ აწარმოებდა სამომხმარებლო სესხების, ქონების, მოწყობილობის და მოგებიდან შემოსავლების სათანადო აღრიცხვას. ჩვენ ვერ შევძელით იმდენად განგვერცო აუდიტორული შემოწმება, რომ დაგვედგინა თუ რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ამ პირობებს ფინანსურ ანგარიშზე 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ ვერ დავესწარით 691 ათასი ლარის ოდენობით ნაღდი ფულის დათვლას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ბანკის აუდიტორული შემოწმება ამ თარიღის შემდეგ დავიწყეთ. ჩვენთვის რთული იყო შეგვემოწმებისა ნაღდი ფულის არსებობა, ვინაიდან დაკავებულნი ვიყავით სხვა აუდიტორული ღონისძიებებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა იყო თუ არა აუცილებელი კორექტივების შეთანა ნაღდი ფულის, დაბეგვრის და სუფთა მოგების კუთხით 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აქედან გამომდინარე, შედარებითი მაჩვენებლები 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოწმებული არ არის.

KPNG CIS Ltd. თბილისის ფილიალი
30 აპრილი 2007 წელი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "ბანკი ტაო"
თარიღი: 12.31.06

ცხრილი N1

ლარებით

საბალანსო უწყისი

| N | აქტივები | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უც. ვალუტა | სულ | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 877 838 | 530 019 | 1 407 857 | 233 932 | 457 182 | 691 114 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 2 769 341 | 3 325 | 2 772 666 | 746 959 | 538 356 | 1 285 315 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 34 452 152 | 712 191 | 35 164 343 | 17 921 | 517 951 | 535 872 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 18 479 791 | 0 | 18 479 791 | 0 | 0 | 0 |
| 6,1 | მთლიანი სესხები | 7 018 341 | 6 611 109 | 13 629 450 | 4 776 695 | 11 602 544 | 16 379 238 |
| 6,2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -206 411 | -203 855 | -410 266 | -472 563 | -1 646 485 | -2 119 048 |
| 6 | წმინდა სესხები | 6 811 930 | 6 407 254 | 13 014 447 | 4 304 131 | 9 956 059 | 14 260 190 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 259 245 | 121 536 | 380 781 | 28 971 | 200 596 | 229 567 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 0 | X | 0 | 9 647 | X | 9 647 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 42 502 | 0 | 42 502 | 42 502 | 0 | 42 502 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 4 174 156 | X | 4 174 156 | 1 923 873 | X | 1 923 873 |
| 11 | სხვა აქტივები | 269 906 | 291 553 | 561 459 | 361 660 | 2 934 | 364 594 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 68 136 861 | 8 065 878 | 76 202 739 | 7 669 596 | 11 673 078 | 19 342 674 |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 1 500 015 | 2 310 415 | 3 810 430 | 150 015 | 268 875 | 418 890 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 52 873 755 | 1 510 022 | 54 383 777 | 2 365 571 | 1 388 121 | 3 753 692 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 180 332 | 0 | 180 332 | 0 | 0 | 0 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 295 100 | 2 466 425 | 2 761 525 | 625 953 | 1 713 263 | 2 339 216 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | 0 | 0 | 0 | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 67 246 | 129 668 | 196 914 | 5 078 | 16 049 | 21 127 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 373 121 | 89 834 | 462 955 | 99 453 | 452 154 | 551 607 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 55 289 569 | 6 506 364 | 61 795 933 | 3 246 070 | 3 838 462 | 7 084 532 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 11 992 071 | X | 11 992 071 | 11 992 071 | X | 11 992 071 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 | | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 | | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 0 | X | 0 | | X | 0 |
| 27 | საერთო რეზერვები | 399 384 | X | 399 384 | 399 384 | X | 399 384 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 1 158 572 | X | 1 158 572 | -133 313 | X | -133 313 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 856 779 | X | 856 779 | | X | 0 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 14 406 806 | X | 14 406 806 | 12 258 142 | X | 12 258 142 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 69 696 375 | 6 506 364 | 76 202 739 | 15 504 212 | 3 838 462 | 19 342 674 |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "ბანკი ტაო"
თარიღი: 12.31.06

ცხრილი N2

## მოგება - ზარალის უწყისი

ლარებით

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უც. ვალუტა | სულ | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 211 224 | 8 817 | 220 041 | 8 176 | 4 927 | 13 103 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 949 260 | 2 430 301 | 3 379 561 | 586 588 | 1 834 202 | 2 420 790 |
| 2,1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | | | 0 | | 11 | 11 |
| 2,2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 140 360 | 372 577 | 512 937 | 286 799 | 719 803 | 1 006 602 |
| 2,3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1 455 | 59 451 | 60 906 | | 20 325 | 20 325 |
| 2,6 | სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 386 528 | 1 064 287 | 1 450 815 | 272 226 | 1 031 704 | 1 303 930 |
| 2,9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 420 917 | 933 986 | 1 354 903 | 27 563 | 62 359 | 89 922 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 20 209 | | 20 209 | | | 0 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 81 074 | | 81 074 | | | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავლები** | 1 261 767 | 2 439 118 | 3 700 885 | 594 764 | 1 839 129 | 2 433 893 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 13 749 | 11 | 13 760 | 8 | 482 | 490 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 74 192 | 168 588 | 242 780 | 32 025 | 93 233 | 125 258 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 6 533 | 40 698 | 47 231 | | | 0 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | | | 0 | | | 0 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 4 516 | 3 459 | 7 975 | 207 975 | 87 288 | 295 263 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 98 990 | 212 756 | 311 746 | 240 008 | 181 003 | 421 011 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 1 162 777 | 2 226 362 | 3 389 139 | 354 756 | 1 658 126 | 2 012 882 |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 142 870 | 751 745 | 894 615 | 575 056 | 777 848 | 1 352 904 |
| 14,1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 209 943 | 907 851 | 1 117 794 | 580 753 | 991 164 | 1 571 917 |
| 14,2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 67 073 | 156 106 | 223 179 | 5 697 | 213 316 | 219 013 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | | | 0 | | | 0 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 169 016 | | 169 016 | -26 812 | | -26 812 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | -234 446 | | -234 446 | -97 665 | | -97 665 |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | -111 042 | | -111 042 | -439 | | -439 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 98 999 | 14 471 | 113 470 | 285 660 | | 285 660 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 5 000 | | 5 000 | 3 219 | 3 907 | 7 126 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 70 397 | 766 216 | 836 613 | 739 019 | 781 755 | 1 520 774 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | | 1 801 | 1 801 | | | 0 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 347 580 | 15 033 | 362 613 | 32 534 | | 32 534 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 1 167 963 | | 1 167 963 | 808 658 | | 808 658 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 134 017 | | 134 017 | 73 579 | | 73 579 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 317 488 | | 317 488 | 204 732 | | 204 732 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 744 750 | | 744 750 | 806 881 | | 806 881 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 2 711 798 | 16 834 | 2 728 632 | 1 926 384 | 0 | 1 926 384 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | -2 641 401 | 749 382 | -1 892 019 | -1 187 365 | 781 755 | -405 610 |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | -1 478 624 | 2 975 744 | 1 497 120 | -832 609 | 2 439 881 | 1 607 272 |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | -80 676 | X | -80 676 | 1 900 109 | X | 1 900 109 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | | X | 0 | | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | -39 497 | X | -39 497 | 75 139 | X | 75 139 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | -120 173 | 0 | -120 173 | 1 975 248 | 0 | 1 975 248 |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | -1 358 451 | 2 975 744 | 1 617 293 | -2 807 857 | 2 439 881 | -367 976 |
| 38 | მოგების გადასახადი | 237 295 | 0 | 237 295 | | | 0 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | -1 595 746 | 2 975 744 | 1 379 998 | -2 807 857 | 2 439 881 | -367 976 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 | -119 | | -119 |
| 41 | **წმინდა მოგება** | -1 595 746 | 2 975 744 | 1 379 998 | -2 807 976 | 2 439 881 | -368 095 |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

№ 102. ხუთშაბათი, 1 თებერვალი. 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576



ბანკი: სს "ბანკი ტაო"

თარიღი: 12.31.06

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ცხრილი N3

ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი

ლარებით

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უც. ვალუტა | სულ | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 10 301 878 | 18 651 009 | 28 952 887 | 5 177 715 | 28 086 679 | 33 264 394 |
| 1,1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | | | 0 | | | 0 |
| 1,2 | გაცემული გარანტიები | 94 510 | 257 025 | 351 535 | 98 448 | 4 064 835 | 4 163 283 |
| 1,3 | მიღებული გარანტიები | 472 967 | 440 513 | 913 480 | 344 667 | 1 810 078 | 2 154 745 |
| 1,4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | | | 0 | | | 0 |
| 1,5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 9 721 488 | 17 953 471 | 27 674 959 | 4 734 600 | 22 211 766 | 26 946 366 |
| 1,6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | 12 913 | | 12 913 | | | 0 |
| 2 | **ფორმალური ვალდებულებები** | 2 513 118 | 6 483 371 | 8 996 489 | 8 119 608 | 3 604 285 | 11 723 893 |
| 2,1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 64 638 | 189 027 | 253 665 | 342 105 | 1 615 527 | 1 957 632 |
| 2,2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | 2 448 480 | 6 294 344 | 8 742 824 | 249 003 | 1 988 758 | 2 237 761 |
| 2,3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2,4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2,5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | | | 0 | 7 528 500 | | 7 528 500 |
| 2,6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | | | 0 | | | 0 |
| 2,7 | დანარჩენი ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 107 423 | 257 025 | 364 448 | 98 448 | 4 064 835 | 4 163 283 |
| 3,1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 3,2 | კლიენტის ვალდებულება | 94 510 | 257 025 | 351 535 | 98 448 | 4 064 835 | 4 163 283 |
| 3,3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | 12 913 | | 12 913 | | | 0 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე** | 27 123 | 2 542 | 29 665 | 185 | 0 | 185 |
| 4,1 | ძვირფასი ლითონები | 3 584 | 2 542 | 6 126 | 177 | | 177 |
| 4,2 | ფასიანი ქაღალდები | | | 0 | 2 | | 2 |
| 4,3 | სხვა ქონება | 23 539 | | 23 539 | 6 | | 6 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 599 725 | 599 725 | 0 | 7 528 500 | 7 528 500 |
| 5,1 | საპროცენტო განაკვეთის სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 5,2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5,3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5,4 | ოფციონები | | 599 725 | 599 725 | | 7 528 500 | 7 528 500 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6,1 | სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 6,2 | ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6,3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6,4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 993 305 | 0 | 993 305 | 2 274 200 | 0 | 2 274 200 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 993 305 | | 993 305 | 2 274 200 | | 2 274 200 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | | | 0 | | | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | | | 0 | | | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 1 020 526 | 279 522 | 1 300 048 | 3 165 956 | 79 357 | 3 245 313 |
| 8.1 | სესხებზე მიღებული პროცენტები 31.12.2000-მდე | | | 0 | 15 155 | | 15 155 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | 319 703 | 85 228 | 404 931 | 661 582 | 61 188 | 722 7[illegible] |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | | | 0 | 76 184 | | 76 184 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | 697 383 | 194 294 | 891 677 | 2 409 595 | 18 169 | 2 427 764 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 3 440 | | 3 440 | 3 440 | | 3 440 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 2 717 | 0 | 2 717 | 14 202 | 0 | 14 202 |
| 9.1 | გაურკვეველი ფულიანი ამანათები | | | 0 | | | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 1 605 | | 1 605 | | | 0 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 1 112 | | 1 112 | 14 202 | | 14 202 |
| 9.4 | სპეკულატარიის ანაზღაურება | | | 0 | | | 0 |
| 10 | **სულ** | 14 966 090 | 26 273 194 | 41 239 284 | 18 850 314 | 43 363 656 | 62 213 970 |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "ბანკი ტაო"

12.31.06

ცხრილი N4

ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | საანგარიშგებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი □ 8% | 27,98% | 33,53% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი □ 12% | 30,80% | 33,77% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 55,53% | 189,18% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | | |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 15,25% | 13,16% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 1,29% | 2,28% |
| 7 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 7,60% | 9,22% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 13,97% | 10,89% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 5,69% | -1,99% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 10,06% | -3,41% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 0,49% | 13,78% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 3,01% | 12,94% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 48,51% | 70,84% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 10,60% | 60,30% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | -16,79% | 85,89% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 59,65% | 12,98% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 10,50% | 54,20% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 71,60% | 19,41% |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ბანკი: სს "ბანკი ტაო"

12.31.06

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

ცხრილი N5

| | | |
|---|---|---|
| | **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | ვლადიმერ უგულავა | |
| 2 | ნიკოლოზ ჩოლოგარგია | |
| 3 | კობა ჩეკურიშვილი | |
| 4 | რაფიელ სურამელაშვილი | |
| 5 | ირაკლი ჩოლოგარგია | |
| | **დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | ალექსანდრე ჩოჩია | |
| 2 | ვაჟა მაისურაძე | |
| 3 | დავით გალეჩაშვილი | |
| | **საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით** | |
| 1 | კობა წაქაძე | 1,11% |
| 2 | ედვარდ გვარამაძე | 7,55% |
| 3 | შპს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" | 4,13% |
| 4 | ილია კოკაია | 4,40% |
| 5 | Harmelly Trade Limited | 12,45% |
| 6 | Unirange Holdings Limited | 24,00% |
| 7 | Suntrix Intertrade Limited | 22,62% |
| 8 | BALIAN INDUSTRIES LIMITED | 22,99% |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

# პეკინი — 2008

## უკეთ, ვიდრე ათენში!

დარჩა 435 დღე.

ოლიმპიური ჩანართი №7

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ფონდი

## ხუთი წლის გადასახედიდან

არაერთხელ თქმულა და გავიმეორებთ, რომ ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის — ბადრი პატარკაციშვილის მიერ დაარსებულმა ოლიმპიურმა ფონდმა სულზე მოუსწრო ქართულ სპორტს.

ბატონი ბადრი 2004 წლიდან გახლავთ სეოკის პრეზიდენტი, თუმცა იგი არც მანამდე ყოფილა უცხო ათლეტებისთვის.

ჯერ კიდევ 2001 წელს მისი მატერიალური თანადგომით მოეწყო ნონა გაფრინდაშვილის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული სალამო. მომდევნო წელს ასევე ლარი. საერთაშორისო პრაქტიკაში ნამდვილად არ არსებობს იმის ანალოგი, რომ ეოკი ან მისი სტრუქტურა აფინანსებდეს სპორტსმენთა მომზადებასა და მონაწილეობას კონტინენტურსა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში, გააჩნდეს ათლეტთა და მწვრთნელთა სოციალური დაცვის ერთიანი პროგრამა. თავად განსაჯეთ: 2002-2004 წლებში სპორტსმენთა მზადებისა და სხვა ოლიმპიური პროგრამისთვის ფონდმა 4,5 მილიონი ლარი დახარჯა, მიმდინარე ოლიმპიურ ციკლს კი 11 მილიონი ლარით აფინანსებს, საიდანაც 80 პროცენტი მიზნობრივად „პეკინი — 2008“-ისთვის მზადებას ხმარდება. დღეისათვის 120-ზე მეტი სპორტსმენი, მწვრთნელი თუ ვეტერანი ოლიმპიელი ყოველთვიურად 300-დან 2000 ლარამდე სტიპენდიას ღებულობს. 2006 წელს სპორტის სტრატეგიულ სახეობებში თითქმის მილიონი ლარით დაფინანსდა 45 ღონისძიება.



ზეიმით აღინიშნა ქართველ ოლიმპიელთა ჰელსინკის თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავი. შარშანწინ კი ლეგენდარული ვიქტორ სანეევის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი უდიდესი ღონისძიება გაიმართა.

ცხადია, მხოლოდ გამორჩეულებზე გავამახვილეთ ყურადღება, თორემ ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ოლიმპიური ფონდი და ბატონი ბადრი პატარკაციშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ სპორტში ყველაზე კრიტიკულ დროს გამოჩნდნენ. ხუთწლიანი მოკლე ინტერვალის მიუხედავად, ინვესტირებულია ათეულ მილიონობით

ნიშანდობლივია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფონდის პრეზიდენტის ხელშეწყობითა და დახმარებით სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე გამოიცა ათეულობით წიგნი, ბუკლეტი, ინფორმაციული ლიტერატურა, მომზადდა 16-ნაწილიანი ვიდეოფილმი „ათენიდან — ათენამდე“, დაისტამბა უნიკალური „სპორტული ენციკლოპედია“, მაღალ პროფესიულ და ტექნიკურ დონეზე გამოდის განახლებული ჟურნალი „ოლიმპიელი“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც ოლიმპიური ფონდის მიერ კეთდება, ბადრი პატარკაციშვილის კეთილი ნებაა, რადგან მას სურს, დახმარების ხელი გაუწოდოს ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას. ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენი ათლეტები სათანადოდ მოემზადებიან პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის და ჩინეთის დედაქალაქში წარმატებებით გაგვახარებენ.

### კონკურსი

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ბიუროს სხდომის დადგენილება

**პროფ. ა ციბაძის სახელობის 2007 წლის კონკურსის ჩატარების შესახებ სეოკ-ის აღმასკომის ბიურო ადგენს:**

1. 2007 წელს ჩატარდეს პროფ. ა. ციბაძის სახელობის კონკურსი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებების, ასევე სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის მიზნით.
2. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები დამტკიცდეს.
3. კონკურსის შედეგები შეჯამდეს 2007 წლის 15 დეკემბრისთვის. კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობა ეთხოვოს სეოკ-ის საინფორმაციო-საგამომცემლო და ოლიმპიური განათლების კომისიას (ბ-ნი ე. ბერიშვილი).

### ჭადრაკი

## ჩინური კედელი უძლეველია



**ეკატერინბურგში** დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა პირველი გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც პლანეტის 10 უძლიერესი ნაკრები წრიული სისტემით იბრძოდა ოქროს მედლებისთვის. მეტოქეებისთვის დაუძლეველი შეიქმნა ჩინელთა წინააღმდეგობა. აზიელებმა ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი პაექრობა (ქართველებთან) დაამთავრეს ფრედ და 18 შესაძლებლიდან 17 ქულით (30,5) ჩემპიონობა მოიპოვეს. გამარჯვებულებს 2 ქულით ჩამორჩნენ რუსები (24), რომლებსაც ვერცხლის მედალი ხვდათ. 14 ქულით კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე უკრაინელი ქალები (23) ავიდნენ. საქართველოს ნაკრები (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო გვეტაძე, სოფიო ხუხაშვილი) 11 ქულით (20) მეოთხე ადგილს დასჯერდა. შემდეგ მოდიან: პოლონეთი — 9 (19,5), გერმანია — 8 (18), ვიეტნამი — 8 (16,5), სომხეთი — 5 (17), ჩეხეთი — 3 (11,5), ბოტსვანა — 0 (0) ქულა.

### ჭიდაობა

## რეპეტიცია თურქეთში გაიარეს

**თურქეთის** ქალაქი იზმირი ექვს დღეს მასპინძლობდა 1987-1988 წლებში დაბადებულ ფალავანთა საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობებში. საასპარეზოდ 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყვნენ საქართველოს წარგზავნილებიც, რომლებმაც სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ედილაშვილი (55), გოჩა ლომთათიძე (74, ორივე — თავისუფალი ჭიდაობა) და სერგო ნინუა (84, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); მეორე ადგილები დაიკავეს ლევან მეტრეველმა (50, თ. ჭ.) და გენადი ხელიამ (96, ბ/რ ჭ.), ხოლო გიორგი ნიკურაძეს (120, თ. ჭ.), სოსო ჯაბიძესა (96) და ბექა როყვას (74, ორივე — ბ/რ ჭ.) მესამე ადგილები ხვდათ.

თურქეთიდან დაბრუნებულ მედალოსნებს ჭიდაობის ფედერაციაში შეხვედრა მოუწყვეს, სადაც პრეს-კონფერენციაც გაიმართა. მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე წარსდგნენ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე, ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელები — ნუგზარ სხირელი და ვლადიმერ ადეიშვილი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ბიჭების გამოსვლა იზმირის ხალიჩაზე. მათი აზრით, ახალგაზრდა ფალავნები თავს არც ევროპის პირველობაზე შეირცხვენენ. ამ შეჯიბრებას კი 24 ივნისიდან 1 ივლისამდე სერბეთი უმასპინძლებს.

### ცხელი ხაზი

#### ტელევიზორი — მეტროში

**წლეულს** 20 სექტემბრისთვის დამთავრდება პეკინში მეტროს მე-5 ხაზის მშენებლობა, რაც გააადვილებს ქალაქის ოლიმპიურ ობიექტებთან დაკავშირებას. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ხაზის მატარებლებში დამონტაჟდება სპეციალური მონიტორები და მგზავრებს პირდაპირ ეთერში სპორტული ბატალიების ყურების საშუალება ექნებათ.

#### ჩირაღდანს ტაივანზე არ უშვებენ

**ოლიმპიური** ჩირაღდანი, რომელიც 2008 წლის 31 მარტს აინთება საბერძნეთში, გაივლის სტამბოლს, სანკტ — პეტერბურგს, ლონდონს, სან-ფრანცისკოს, პარიზს, ასევე, მსოფლიოს სხვა ქალაქებს და ბოლოს პეკინში ამოყოფს თავს. ერთადერთი ტაივანი ამბობს უარს, რომ ესტაფეტის ნაწილი გახდეს. კონძულელებს მიაჩნიათ, რომ სოკმა და ჩინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა მათი სურვილი არ გაითვალისწინეს. ტაივანი ესტაფეტაში მაშინ მიიღებს მონაწილეობას, თუ ჩირაღდანი კუნძულზე „მესამე“ ქვეყნიდან შევა და „მეოთხეში“ გადავა, რასაც, ცხადია, ჩინელები არ დაუშვებენ.

#### ბუში მიიპატიჟეს



**ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე სპეციალური მოწვევა მიიღო. ამ მიპატიჟების ინიციატორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ცზინტაო.

#### მოწევა აიკრძალება

**ჩინეთის** ოფიციალური წრეების განცხადებებით, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების დღეებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და სპორტულ ობიექტებზე მოწევა აიკრძალება.

გვერდი მოამზადა ვაჟა დანელიამ

### ციფრების ენით

## იზარალებს მასპინძელი?

**ჩინეთის მთავრობა ფულს არ ზოგავს 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მაღალ დონეზე მოსამზადებლად, რათა მთელ მსოფლიოს აჩვენოს ქვეყნის ეკონომიკური წარმატებები, ხალხის კეთილდღეობის ზრდა. როგორც ვარაუდობენ, კაცობრიობის ისტორიაში პეკინის ოლიმპიადა ყველაზე ძვირადღირებული თამაშები იქნება.**

ბოლო ასი წლის განმავლობაში განსაკუთრებით დიდი ხარჯი გაიღო საბერძნეთმა 2004 წლის ათენის თამაშებისთვის — დაახლოებით 7 მილიარდი ევრო, რამაც ერთგვარი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას.

ბერძნული რეკორდი რომ გადაიფარება, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, ოფიციალური მონაცემებით, ჩინეთის მთავრობამ 2002-2007 წლებში მოსამზადებელ სამუშაოებზე უკვე 18 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯა. ფინანსისტები ოლიმპიადისთვის სავარაუდო თანხად 39 მილიარდ დოლარს ასახელებენ, თუმცა მასში არ შედის სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და თამაშების უსაფრთხოების სისტემისთვის აუცილებელი სახსრები, ასევე, ის 8,5 მილიარდი დოლარი, რომელსაც საპორტო ქალაქი ცინდაო გამოყოფს ყვითელ ზღვაში ოლიმპიური რეგატის გასამართავად.

საგულისხმოა, რომ ოლიმპიადისთვის დახარჯული თანხები უკვე იძლევა უკუგებას. ოფიციალური მონაცემებით, ოლიმპიური პროექტების განხორციელების შედეგად პეკინის ეკონომიკას ყოველწლიური ზრდის ტემპის 2,07 პროცენტი დაემატა, რითაც ქალაქის ბიუჯეტი მილიარდი დოლარით გამდიდრდა, რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიის გაუმჯობესებასა და სხვა სასიკეთო ძვრებზე.

ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად უმთავრეს ხარჯებს, ცხადია, სახელმწიფო გაიღებს, თუმცა არც კერძო კომპანიები დგანან გვერდზე — სპონსორობის საფუძველზე ჩინეთის დედაქალაქში ბევრი კარგი საქმე კეთდება. მაგალითად, ამერიკული კომპანია Golden State Holding-ი ოლიმპიურ სტადიონს აშენებს; სააქციო კომპანიის ხელშეწყობით აიგება უნივერსალური სპორტის სასახლე, სადაც კალათბურთელთა ორთაბრძოლები გაიმართება.

ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ყველა სპორტული ობიექტი სავაჭრო-გასართობ ცენტრად გადაკეთდება, ხოლო ოლიმპიურ სოფელში ათლეტთა საცხოვრებლად აშენებული ორი ათასი ბინა გაიყიდება.

ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მაღაზიები, კერძო რესტორნები უკვე სთავაზობენ მსურველებს სუვენირებს ოლიმპიური სიმბოლიკით. მასპინძლები სოლიდურ შემოსავლებს ელიან ტელეგადაცემებისა და ასპარეზობებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არა გვგონია, რომ ერთობ წინდახედულმა ჩინელებმა ოლიმპიადიდან ზარალი ნახონ.

№ 102. პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



◎ საქველმოქმედო კონცერტი

# ძალა, რომელმაც უნდა გვიხსნას და გადაგვარჩინოს...

26 მაისს საქართველოში გამორჩეული სიხარულით ხვდებიან. ეს ბუნებრივიცაა: თავისუფლება, დამოუკიდებლობა ხომ ქართველთა ნანატრი სურვილი იყო ყოველთვის...

წლევანდელი 26 მაისი პატარების ჟრიამულითა და ქართული ჰანგებით აღნიშნეს პროფკავშირების კულტურის ცენტრში. აქ, ასოციაცია „ჯადოსნური ხმების“ ინიციატივით, კიდევ ერთი ლამაზი საღამო გაიმართა სახელწოდებით – „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. ასოციაციის ხელმძღვანელმა, პროდიუსერმა თამაზ ქაჯაიამ, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „დღევანდელი ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მივუძღვენით, თანაც საქველმოქმედო ხასიათისაა. კონცერტზე მოწვეული გვყავს ჰემოფილიით დაავადებული ბავშვები, რომლებსაც ასოციაცია „ჯადოსნური ხმები“ განსაკუთრებით მფარველობს. ამავე დროს, აქ არიან მშობელთა სითბოსა და მზრუნველობას მოკლებული პატარებიც.

საღამოზე გამოვლენ ცნობილი მსახიობები და მომღერლები: გურამ ჯაში, ნუგზარ კვაშალი, ზურა დოიჯაშვილი, ვახტანგ ტატიშვილი...





ჩვენს მიერ გამართულ ღონისძიებებში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ლომისი“, „ფერხული“, „ლაშარი“, პროფკავშირების კულტურის ცენტრთან არსებული ხალხური ცეკვის ანსამბლი „მერცხალი“ და სხვები. აგრეთვე, ბავშვთა საესტრადო ანსამბლები და სტუდიები: „ლურჯა ცხენები“, „კარუსელი“, „მუზა“... გვყავს სტუმრები გორიდან – ბავშვთა ანსამბლი „ათინათი“ და გორის №1 სკოლა-გიმნაზია.

როგორც ბატონმა თამაზმა თქვა, ასოციაცია „ჯადოსნურ ხმებს“ მომავალშიც ბევრი საქველმოქმედო აქცია აქვს ჩაფიქრებული და დაგეგმილი. მათთვის ამგვარი ღონისძიებები უკვე ტრადიციად იქცა. ცნობილი ფირმების „PSP“-სა და „ავერსი-ფარმას“ მხარდაჭერით ისინი ახერხებენ წამლებითა და უფასო საჩუქრებით გაახარონ ბავშვები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

„1998 წლიდან ამ საქმეში ვარ ჩართული“, – ამბობს ბატონი თამაზი – მიხარია, რომ ამ წლებში შევძელით დახმარება გაგვეწია ყრუ-მუნჯ და უსინათლო ბავშვთა სკოლებისათვის, ბავშვთა სახლებში მცხოვრები პატარებისთვის... ჩვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ეს ბავშვები უსასყიდლოდ ესწრებიან. ახალი წლის დღეებში, ასევე უსასყიდლოდ დაგვყავს ცირკში, ვურიგებთ საჩუქრებს... ვცდილობთ, როგორმე გავამხნევოთ, გავახალისოთ!“

26 მაისისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი 2 ნაწილად გაიმართა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საოცრად ნიჭიერი, ლამაზი ბავშვები და განუმეორებელ, იმედიან განწყობილებას ქმნიდნენ. დარბაზი გამორჩეული ოვაციებით შეეგება ცნობილ მომღერლებსა და მსახიობებს...

პოპულარულმა მომღერალმა ზურა დოიჯაშვილმა სიხარული გამოთქვა, რომ მსგავსი ხასიათის ღონისძიებებში ხშირად მონაწილეობს: „მომღერლისათვის ყველა კონცერტი მნიშვნელოვანია. თუმცა, საქველმოქმედო კონცერტებზე გამოსვლას სულ სხვა სიხარული მოაქვს, მით უმეტეს, თუ იცი, რომ ბავშვებისთვის მღერი. ვფიქრობ, რომ სიკეთე, ქველმოქმედებაა ის ძალაა, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს.

მინდა ყველას მივულოცო დღევანდელი დღე. ყველა ავადმყოფ, ბედისგან დაჩაგრულ პატარას ვუსურვო ჯანმრთელობა, გამძლეობა და ბედნიერ, უზრუნველ საქართველოში ცხოვრება“...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

---

საქმე №2/1641-07

## განჩინება

### პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

29 მაისი 2007 წელი — თბილისი

### თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ელისო ტუკვაძე

მოსარჩელე: ამალია უთმელიძე
მოპასუხე: მურმან ომანიძე
დავის საგანი: თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ამალია უთმელიძის სარჩელი მოპასუხე მურმან ომანიძის მიმართ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების შესახებ. სარჩელის თანახმად მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის 20 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში დაკისრებას.

სარჩელში მითითებულია მოპასუხე მურმან ომანიძის მისამართი: ქ. თბილისი, აპ. ქუთათელაძის შესახვევი №11. აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გზავნილი მოპასუხე მურმან ომანიძეს არ ჩაბარდა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფლის დაუდგენლობის გამო.

2006 წლის 16 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა ვახტანგ ცხომელიძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და იშუამდგომლა სასამართლოს სხდომის დანიშვნის და უწყების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ჩაბარებისა და საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების გამოტანის თაობაზე.

2007 წლის 28 მაისის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

**სამოტივაციო ნაწილი**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხე მურმან ომანიძის ადგილსამყოფელი უცნობია, მას უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოებისა და სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ საჯარო შეტყობინებით პუბლიკაციის მეშვეობით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. ეცნობოს მოპასუხე მურმან ომანიძეს, რომ 2007 წლის 11 ივლისს 11 სთ-ზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეკთა კოლეგიაში (თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №1) დანიშნულია სასამართლოს მთავარი სხდომა სამოქალაქო საქმეზე ამალია უთმელიძის სარჩელისა გამო მურმან ომანიძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ;
2. ეცნობოს მოპასუხე მურმან ომანიძეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყიფლებაზე;
3. ეცნობოს მოპასუხე მურმან ომანიძეს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები: სესხის ხელშეკრულება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და რწმუნებულება, რომელთა გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;
4. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
5. განჩინება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადებების დაფაზე;
6. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე ე. ტუკვაძე**

---

## განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მცხეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილე კანდიდატს სავალდებულოა ჰქონდეს უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი, ფლობდეს სახელმწიფო (ქართულ) ენას.

თანამდებობრივი სარგო შეადგენს 230 ლარს.

კანდიდატების მიერ განცხადების შემოტანის ვადაა შეტყობინების გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში.

განცხადებას თან უნდა დაერთოს:
– ავტობიოგრაფია;
– განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
– შრომის წიგნაკი.

**საკონკურსო-საატესტაციო კომისია**

**მისამართი:** ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73.
ტელ: 8(2732) 27 27; 50-85-80.

---

## განცხადება

**2007 წლის 21 ივნისს დღის 15 საათზე** შედგება სს „კრწანისი-99“-ის (მდ. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №73) აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შედეგები.
ა) ანგარიშის წარმოდგენა დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
2. ანგარიშის დამტკიცება;
3. 2007 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2007 წლის 28 მაისი, აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პირადობის მოწმობისა და წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით აქციონერებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ დირექციაში.

**სს „კრწანისი-99“-ის დირექტორი**

---

## პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ა. წ. 6 ივნისს 14 საათზე მოწვეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ღია სხდომა, სადაც საჯაროდ იქნება განხილული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სახელობის 2007 წლის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი შრომები.

შრომების განხილვაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ დაინტერესებულმა პირებმა.

**სხდომა გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში, რუსთაველის პროსპექტი 52, IV სართული, ოთახი 421.**

---

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისაგან

**ა. წ. 5 ივნისს, 15 საათზე ჩატარდება ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების ღია სხდომა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიაზე წარდგენილი ნაშრომის განსახილველად. განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.**

**მისამართი:** რუსთაველის პრ. 52, IV სართული, ოთახი 411.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 102. პარასკევი, 1 ივნისი, 2007 წელი.

ზარი

# ზვიად ცეცხლაძის გარდაცვალების გამო

სამშაბათ საღამოს მთელ საქართველოს, რომელსაც დიდი საზოგადო მოღვაწის გურამ შარაძის სიკვდილი ვერ გაეცნობიერებინა — ზვიად ცეცხლაძის მკვლელობა ამცნეს.

დიდი გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების ასზე მეტი წლის შემდგომ, შენს მშობლიურ, უძველეს და ულამაზეს სოფელ ბახვს ასეთი ზარი არ ახსოვს, ზვიად!

ათასი ოჯახის ათასი კარ-მიდამო მწუხარებით აივსო, თითოეულმა ზრდასრულმა კაცმა და ქალმა ამოიკვნეს-ამოიქვითინა: ზოგს შვილი აკლია, ზოგს — მშობელი, ზოგს — დედმამიშვილი, მათ შემდეგ მსგავს მწუხარებას არ შეუძრავს მათი გულები.

ერთმანეთთან მიდიან და უსამძიმრებენ შენით გამოწვეულ დიდ დანაკლისს; რაც გაჩენის დღიდან ტკივილი ჰქონია — ერთად ტირის სოფელი; ცეცხლაძეთა ქალ-რძალის მოთქმა ქვასაც კი გულს გაულხვობს; შენი მეგობრები და კეთილ საქმეში დასაყრდენები, რომელი ერთი ჩამოვთვალო... კაცები, რომელთაც მკლავი რომ ჩამოაჭრა, ცრემლს ვერ გადმოსწურავ, ახლა გულიდან წამოსული სისხლით იცლებიან... შენი საყვარელი მასწავლებლები რა დღეში არიან — დღეს არავის არ შეეხარბება მათი სიცოცხლე — მათ ხომ შენი ბიჭობა, შენი ყმაწვილობა ახსოვთ, ზვიად! მრავალ სკოლას არ ჰყოლია და არც ეყოლება შენებრ ჯენტლმენი მოსწავლე.



სოფელს მაშინ უყვარდი, როცა ჯერ არ აჩნდი საზოგადოებას; დედაშენის — ქალბატონ ნინა მელუასადმი სიყვარული გადმოიტანა მოსახლეობამ შენზე და შენს დებზე. მრავალი აღნიშნავდა, რომ კეთილბუნებოვანი, კეთილშობილი და ღვთისმოსავი დედის გამო დაგაჯილდოვა უფალმა და ყოველივე მოგმადლა.

ზვიად! ერთი საათით ან ერთი დღით სოფელში ჩამოსვლისას დასვენებასა და სულმოთქმას ვინ გაცლიდა; ბუნების სილამაზით ტკბობასა და საღამოს ნიავით შუბლის გაგრილებას ვინ გაცლიდა — ათეულობით ქალი და კაცი შემოხვეული გყავდა, ისე, როგორც საუკუნენახევრის წინ გაბრიელ ქიქოძეს — შენს ხატსა და მისაბაძს — ეხვია მთელი სოფელი, ისევ ისე ვსარგებლობდით შენი გულკეთილობითა და ხელგაშლილობით, მეტად მძიმე დროში გამოუჩნდი სოფელს ნუგეშად.

როცა ვინმე გარდაიცვლებოდა, ხშირ შემთხვევაში, ჭირისუფალი ხსნას რომ ვერ პოულობდა — შენ გიკავშირდებოდა, რამდენი საბრალო სული გაპატიოსნებულა შენს მიერ გაღებული ხარჯით... რამდენმა გადაირჩინა თავისი ჯანმრთელობა, რამდენმა დაასრულა სწავლა, რამდენმა აღიდგინა თვალისჩინი...

ვინ ვინ და სოფელმა კარგად იცის, რომ ბოლო სიკვდილია, მაგრამ მეტად მკაცრი, ულმობელი და სასტიკია შენს სახელთან, ზვიად, „მოჰკლესო". — ენით აუწერელია ეს მწუხარება და თავზარდამცემი ამბავი.

შენმა უახლოესმა მეგობრებმა განაცხადეს: — მტერი არ ჰყავდაო!

შენ რომ შეგეძლოს პასუხის გაცემა — ეტყოდი: — რას ამბობთ, ძმებო! — მტერი ღმერთსაც ჰყავდა! განა ერთი საფეხურით არ ამამაღლა უფალმა მრავალზე? განა ერთი სიტყვით მეტის თქმა არ შემეძლო, ვიდრე ათეულობით სხვას?! მტრობას, შურსა და ავთვალს მეტი რა უნდა — ჩვენ ხომ ადამიანები ვართ!

— ყველა დიდ პიროვნებას ჰყავდა პატარა მტრები, მე კი — ერთ ჩვეულებრივ კაცს — უფრო პატარა მტრები მყავს!

დიახ! ზვიად! მტრებიც გეყოლებოდა და მოშურნენიც, ეს კიდევ უფრო პატივს გდებდა, მაგრამ სასიკვდილოდ ვინ გაგიმეტა! ვინ დაარღვია ღვთის მცნება! ვინ გაწირა სამუდამოდ სატანჯველად სული თავისი და ვინ დასდო ცოდვა 7 თაობამდე თავის მომავალს.

უფალმა გამოგარჩია, მოგცა ყოველი და შენც ბედნიერი იყავი — მუდამ აკეთებდი შენს საყვარელ საქმეს — აშენებდი! შენზე ამბობდნენ: „აი, ადამიანი, რომელსაც დაეყრდნობი ყველგან და ყველაფერში", „ გარშემომყოფთათვის გულისხმიერი, მათი უბედურებისა და ტკივილების მტვირთველი", „უფრო მეტს გასცემდა, ვიდრე ითხოვდა"...

ზოგჯერ გულისტკივილით აღმოგხდებოდა:

— იშვიათად ვინმე თუ მკითხავს, იქნებ რაიმე მტკივა, იქნებ, რაიმე მიჭირს...

„... ბევრი მართალი მძიმე სიკვდილით კვდება... ვითა კაცი, რომელიც ქრისტე ღმერთს უყვარს, მძიმე სიკვდილით განწმენდილია და მიტევებულია და ამ ქვეყნიდანაც ყოველმხრივ წმინდა გავიდა — ეს ზრდის მის ჯილდოს მომავალ ცხოვრებაში"... ასე გვანუგეშებს შენი სიკვდილით შეძრულებს წმინდა ეპისკოპოსის პეტრეს სიტყვები.

შენი სახელისა და საქმეთა გასახსენებლად, ზვიად, გვრჩება დიდი გაბრიელის სახელობის უძველესი სკოლის გამშვენიერებული და გამართული შენობა, რომლის გასრულებაშიც შენ უდიდესი წვლილი გაქვს, გვრჩება წმინდა ნინოს სახელზე აღმართული უმშვენიერესი ტაძარი, რომლის მოხატვის გასრულებასაც სულმოუთქმელად ელოდი, რათა სკოლის დაარსების 135 წლისთავისთვის მოსწრებულიყო; რჩება საქართველოში შენს მიერ შეკეთებულ-აღდგენილი ათეულობით ტაძარ-სამლოცველო, ათეულობით ავტორთა გამოქვეყნებული წიგნი, ასეულობით ადამიანისადმი შენს მიერ გაღებული სიცოცხლისთვის აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფა...

წმინდა ავგუსტინემ მოკვდავთ ღვთის სიტყვებით მიმართა:

„სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი,

... სიცოცხლე იმასვე ნიშნავს, რასაც მუდამ ნიშნავდა, იგი ისევ ის არის, რაც მუდამ იყო, ძაფი არ გამწყდარა...

როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა, როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღვთისთვის ცნობილ და ღვთისგან დადგენილ დღეს, შენი სული სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო, იმ დღეს კვლავ ჰპოვებ მის გულს და იმ გულში კვლავ იმავე გრძნობას ჰპოვებ.

ოღონდ უფრო განწმენდილს,

შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!"

ზვიად, შენ წახვედი! კაცი, რომელმაც სიცოცხლეში მოიპოვე ღრმა პატივისცემა და სიცოცხლის შემდგომ დატოვე უამრავი მადლიერი ადამიანი, შენ იყავი კაცი, რომელიც, მუდამ, დაბადებიდან — აღსასრულამდე გარემოსილი იყავი შენი დიდი და საყვარელი ოჯახის, სანათესაოს, სამეგობროს, საახლობლოს სიყვარულით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა და მოწურულმა ცრემლებმა გაგინათონ გზა-სავალი.

**გაბრიელ ქიქოძის სახელობის**
**ბახვის სკოლის პედკოლექტივი**

P.S. მთელ საქართველოს ვამცნობთ: საინფორმაციო საშუალებებით გახმიანდა, „ზვიადის მკვლელთაგან ორი მისი თანასოფლელიაო."

ჩვენთვის ერთი სიკვდილი და მწუხარება ზვიად ცეცხლაძის სიკვდილია; მეორე სიკვდილი და მწუხარება — ეს საშინელი განცხადებაა. **ზვიადის მკვლელები მისი თანასოფლელები არ არიან!**

სანთელი

# ლუკა ჯალაღონია



ძალიან დასანანია, რომ ამ ბოლო დროს სიკვდილმა ბევრი საუკეთესო და ღვაწლმოსილი ადამიანი წაგვართვა.

საქართველოს უპირველესი სიმდიდრე ყოველთვის ხომ მამულიშვილი ქართველები იყვნენ... რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ მხრივადაც აშკარად ღარიბდება. სწორედ ასეთი გრძნობები და ფიქრები აგვიშალა ლუკა ჯალაღონიას ნამდვილად ნაადრევად წასვლამ ამ უბარაქო წუთისოფლიდან მის ახლობლებსა და მეგობრებს.

დაიბადა 1944 წლის 15 მაისს, აბაშის რაიონის სოფ. წყემში.

რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ხოლო შემდგომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების აგრონომიულ ფაკულტეტზე და იღებს სწავლული აგრონომის კვალიფიკაციას.

შრომითი ბიოგრაფია დაიწყო ეშერის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მუშად. 1971-1975 წლებში მუშაობდა სოფ. წყემის კოლმეურნეობაში ბრიგადირად და სოფ. ზანათის საბჭოთა მეურნეობაში უბნის მმართველად.

1975 წელს ირჩევენ სოფ. სეფიეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1976 წელს — სოფ. ძველი აბაშის სამეურნეობათაშორისი საწარმოს დირექტორად, საიდანაც 1977 წელს გადაჰყავთ სოფ. სუჯუნის მეურნეობის დირექტორად. 1972 წელს ნიშნავენ აბაშის ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის დირექტორად.

ლუკა ჯალაღონია იყო უაღრესად ყურადღებიანი, კვალიფიციური და ძლიერი ხელმძღვანელი მუშაკი, სტუმართმოყვარე, მეგობრული და სიტყვის კაცი.

სადაც კი იმუშავა, ღირსეული კვალი დატოვა, მისმა წასვლამ ამქვეყნიური ცხოვრებიდან მის ნაცნობ-მეგობრებს დიდი ტკივილი მიაყენა.

ლუკა ჯალაღონიას ჰყავდა დიდი სამეგობრო მთელს საქართველოში. ის ბოლო წლებში მუშაობდა სერიოზულ პროექტზე, ჰყავდა სერიოზული ინვესტორი და გეგმავდა თავის მშობლიურ სოფელში, წყემში, პრივატიზების გზით 200 ჰა მიწის შეძენას და ევროპული სტანდარტით სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ჩამოყალიბებას.

ვაგლახ, რომ ეს იდეა დარჩა მისთვის აუხდენელ ოცნებად, მაგრამ იმედად ის დაგვრჩენია, რომ მისი სამეგობრო, თავის ოჯახის წევრებთან ერთად, ყველაფერს გააკეთებს მისი წამოწყების პრაქტიკული რეალიზებისათვის.

გურამ გუნავა, იური ჭანტურია, ალექსი ნადარეიშვილი, რომან კიზირია, ოთარ ცომაია, გურამ კუცია, დარეჯან ელიაძე, ანგელინა გვაზავა, იზოლდა გაბელაია, ბადრი ჩაჩავა, იური იობაია, ვახტანგ გაბელაია, რუსლან რუსია, გიორგი დუნდუა, ვალერი ფირცხალავა, ოლეგ ივანიაძე, გალაქტიონ კუცია, ჟორა კაჭარავა, ზაურ თელია, თამაზ კაჭარავა, რობერტ ჭანტურია, ნოე კაჭარავა, ბუთხუზი ცომაია, გოდერძი კუპრავა, რობერტ რატიანი, ბორის ლასარეიშვილი, ელვარდ ნოდია

---

შვილები დათო, ნინო ბაგრატიშვილები, ძმა ნოდარ ზედელაშვილი, შვილიშვილები გივი, თამუნა, ელენე, რძლები თინა ხაჟომია, მარინე დოლიძე, მძახლები ნადეჟდა, გიზო, ზაირა დოლიძეები, მულისშვილები ნანა ჯიშიაშვილი, გიორგი გელოვანი, თინა ერისთავი, მაყვალა ყაზახაშვილი, ლევან კუჭუხიძე, თინა დვალიშვილი, ლევან (ჭოლა) წულაძე, მანანა კოზაკოვა, ლალი თოფურიძე, თინა აფაქიძე, ბიძაშვილები ოლიკო, კაკო, ეთერ, ბონდო, გია, ქეთინო, მარინე, თამაზ ზედელაშვილები, ნანი, კაკო ბუდალაშვილები, თამაზ, ქეთი სანებლიძეები, დეიდაშვილები ნაზიკო, ნანული, გივი, მერაბ, ჯუნა, გოგლიკო, დათა, ნინო, გიგა, ნინო, ქეთინო, რუსუდან, თამუნა, დათო, ნანა, ბადრი ლაპიაშვილები, ზიზი, გოგი, კაკო, მარინე ჭანტურიები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე (ელიკო) ზედელაშვილი

პანაშვიდი 1 VI, 17 სთ. გამოსვენება 2 VI, 14 სთ. ა. ყაზბეგის პროსპექტი, 13, I სადარ. მე-5 სართ.

---

პაატა ბურჭულაძე და გურამ ახალაია ოჯახებით გამოხატავენ უსაზღვრო მწუხარებას უახლოესი მეგობრის, სიკეთით, ქველმოქმედებით, თანადგომით, საოცრად გამორჩეული პიროვნების

ზვიად ცეცხლაძის

გაუგონარი უმადურობითა და წარმოუდგენელი სისასტიკით ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

მანანა და გოდერძი ბუკიები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ სიყრმის მეგობრის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების

ზვიად ცეცხლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

ჯემალ გახოკიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ოჯახის უახლოესი მეგობრის

ზვიად ცეცხლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ფონდ „იავნანას" გამგეობის წევრები მწუხარებით იუწყებიან ფონდის დამფუძნებლის, ღირსეული მამულიშვილის, დიდი მეცენატის, გაჭირვებულთა და მიუსაფართა პრობლემებზე განსაკუთრებული ზრუნვით გამორჩეული ადამიანის

ზვიად ცეცხლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

დემურ ცინცაძე, რომა შაქარიშვილი, შოთა პეტრიაშვილი, თემურ აბულაძე, ჯონი ყიფიანი, ვახო თუთაშვილი, თენგიზ გაზდელიანი, თემურ ჟღენტი, გომარ და ვიტალი სიხარულიძეები, ზურაბ ჩიქოვანი, დავით წულუკიძე, გია ძიმისტარიშვილი, ბუტუ კალანდაძე, ბესო რამიშვილი, დათო ნორაკიძე, ლაერტ დუღაშვილი ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ზვიად ცეცხლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ავთანდილ წერეთელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზვიად ცეცხლაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზაურ, რუსიკო, ნინუკი გამსახურდიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ადამიანის, სიკეთის მატარებელი პიროვნების

ზვიად ცეცხლაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვახტანგ წერეთელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზვიად ცეცხლაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის" თანამშრომლები და ლექტორები მწუხარებით იუწყებიან, რომ მთავარ რედაქტორს ნოდარ ზედელაშვილს მოულოდნელად გარდაეცვალა და, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ელენე ნიკოლოზის ასული
ზედელაშვილი-ბაგრატიშვილისა

და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ბოლო გვერდი



● ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეისმინა ნინოს ვედრება, გამოეცხადა მას, მისცა ვაზის ჯვარი და საქართველოში გამოგზავნა საქადაგებლად: „ეს ჯვარი იყოს შენი მცველი, ამით დაძლევ ყოველგვარ დაბრკოლებას, ვაზის ჯვრით აღმართე ჭეშმარიტი რწმენის ტაძარი"


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სულიერება

# წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს შემოსვლა საქართველოში

**1 ივნისს** საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საქართველოში წმიდა მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის ნინოს შემოსვლას.



... კაბადოკიელი ქალწული წმიდა ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავი იყო. ის გულმხურვალედ ლოცულობდა და ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა შეისმინა ნინოს ვედრება, გამოეცხადა მას, მისცა ვაზის ჯვარი და საქართველოში გამოგზავნა საქადაგებლად: „ეს ჯვარი იყოს შენი მცველი, ამით დაძლევ ყოველგვარ დაბრკოლებას, ვაზის ჯვრით აღმართე ჭეშმარიტი რწმენის ტაძარი".

... ნინო ჯავახეთის მთებით შემოვიდა საქართველოში. „ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა", „მთანი ჩრდილოსანი" კი, მიუხედავად ვარდობისთვისა, „სავსენი ჩნდეს თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა".

ფარავნის ტბასთან მან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, მათთან ერთად ჯერ ურბნისში, ხოლო შემდეგ მცხეთაში ჩავიდა.

წმიდა ნინო სამეფო ბაღის მცველის სახლში დასახლდა; „და იყო სამ წელ ეგრეთ, ილოცავდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძალმითა მაყუალისათა".

აქ უშვილო ოჯახს მისი ლოცვით ღმერთმა შვილი მიჰმადლა. ამით გახარებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფა წმიდანს.

მალე ნანა დედოფალმაც აღიარა, მოგვიანებით კი თვით მირიან მეფემაც თაყვანი სცა ქრისტეს.

წმიდა ნინოს ირგვლივ თანდათან იკრიბებოდნენ ქრისტეს რჯულის თაყვანისმცემლები, საქართველოში მტკიცდებოდა ახალი რელიგია.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება წმიდა ნინოს სახელობის ტაძრებში.

**საგულისხმოა, რომ ვაზის ჯვარი ამჟამად დაბრძანებულია სიონის საკათედრო ტაძარში, ეს მადლიანი სიწმინდე ხომ თვით ღვთისმშობელს ეპყრა ხელთ და მისი ლოცვით არის ნაკურთხი!**

**გიული ლიპარტია**

## რა არ ხდება

# სიყვარულის ახსნა მარტორქით

**კალინინგრადის ზოოპარკში მისული დამთვალიერებლები გაოცებას ვერ ფარავდნენ, როდესაც მარტორქის ფერდზე ინგლისურად დაწერილ ასეთ გზავნილს ხედავდნენ — „ოლია, მე შენ მიყვარხარ!"**

როგორც ჩანს, ეს გააკეთა ქალიშვილის სიყვარულით გაწვალებულმა ჭაბუკმა, რომელიც არ დაერიდა ამ უზარმაზარი ცხოველის მიერ გასრესვა-გაჭყლეტვის დიდ საშიშროებას სასიყვარულო წერილის ასე ორიგინალურად გაგზავნისას.

ზოოპარკის მესვეურთ კი ის ალონებთ, თუ როგორ მოაშორონ ამ ეგზოტიკურ ცხოველს ეს „ადამიანური სისულელე".

# კერძო ციხე

**დიახ, იაპონიის ქალაქ მინეში გაიხსნა კერძო ციხე, რომელიც გათვალისწინებულია ათას ადამიანზე — 500 კაცსა და იმდენივე ქალზე.**

ახალი საპატიმროს ხარისხობრივი განსხვავება ჩვეულებრივისაგან, ანუ სახელმწიფოურისგან თავად მის სახელწოდებაშია დაფიქსირებული — „საზოგადოებაში დაბრუნებისთვის თანამოქმედების ცენტრი". მას მართავს სააქციო კომპანია, რომელიც შექმნეს მსხვილმა დაცვის ფირმამ და სამშენებლო კორპორაციამ. მთავრობასთან კომპანიას გაფორმებული აქვს 430-მილიონიანი კონტრაქტი 20 წლის ვადით.

ამ ახალი დაწესებულების დასაცავად აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიურ სიახლეებს — ინფრაწითელი სენსორები ცვლიან კოშკურებს ავტომატიანი მცველებით, ხოლო თითოეული პატიმრის ტანსაცმელში ჩაკერებულია მიკროჩიპი, რომელიც იძლევა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის დადგენის შესაძლებლობას.



## განცხადება

სს „საქქალაქმშენპროექტის" სამეთვალყურეო საბჭო იწვევს თავის აქციონერებს სააქციო საზოგადოების საანგარიშო საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 14 ივნისს 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74.

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში;
2. 2007 წლისათვის აუდიტორის შერჩევა;
3. სხვადასხვა.

2007 წლის 22 ივნისს დღის 15 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „საქავტოტრანს-2"-ის აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის სამეურნეო შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.
2. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ.

**მისამართი:** რუსთაველის გზატკეცილი, მე-15 კილომეტრი.

## სააქციო საზოგადოება „მექანიკურის" აქციონერთა საყურადღებოდ

## განცხადება

სს „მექანიკური" ა. წ. 28 ივნისს 17 საათზე ატარებს აქციონერთა საერთო კრებას სააქციო საზოგადოების შენობაში მისამართზე: სენაკი სოხუმის გზატკეცილი №1, მე-2 სართულზე.

კრების დღის წესრიგშიგანსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სს სამეურნეო შედეგების ბიუჯეტთან ურთიერთობების განხილვა. სს დირექტორის ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა;
3. სს წესდებაში ცვლილებების შეტანა.

კრების სააღრიცხვო თარიღი არის 2007 წლის 10 მაისი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე აქციონერებსა და კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ 2007 წლის 11 ივნისის ჩათვლით ზემოთაღნიშნულ მისამართზე ან დაგვიკავშირდნენ საკონტაქტო ტელეფონზე: 899 70-13-43.

**სს-ს ადმინისტრაცია**



## ანეკდოტები

**არაფერი** ისე არ მიამწყვდევს ქალს კუთხეში, როგორც იმის თხოვნა, რომ მოკლედ მოყვეს საკუთარ თავზე.

* * *

**ფსიქოთერაპევტი** — ეს არის ადამიანი რომელსაც შეუძლია გასწავლოთ სახეზე ღიმილის შენარჩუნება მაშინაც კი, როდესაც გასანთლულ თოკს იმზადებთ.

* * *

**ცოლ-ქმარი** სექსოპათოლოგთან მივიდა მიღებაზე:

— ექიმო, პრობლემა გვაქვს! ჩვენთვის სექსი რაღაცნაირი უინტერესო და ერთგვარად მოსაწყენიც კი გახდა!



— რახან ასეა, მისი გამრავალფეროვნებაა საჭირო! მაგალითად, ამის სხვადასხვა ეგზოტიკურ ადგილას კეთება!

— შეიძლება ამის გაკეთება ახლავე, თქვენს კაბინეტში?

— შეიძლება! ოღონდ თქვენმა ქმარმა ცოტა ხნით გაისეირნოს!

* * *

**რუსეთელ** სამხედრო მფრინავებს ოჯახის სარჩენად ღამღამობით უწევთ მუშაობა — დაბომბვა.



## თბილისის № 13 პოლიკლინიკის ჰომეოპათიური განყოფილება

მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები
თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას, C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ ა. ჭავჭავაძის ქ., 2.

ტელეფონი: 98-64-86;
მობილური: 8-99-55-99-61.

## რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.